# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 21 აპრილი 2000 №74 (1096) | ფასი 50 თეთრი


3

## დინამო თავიდან ასაწყობია



მერაბ ჟორდანიას აზრით, „დინამოს“ ხელმძღვანელები საქმეს თავს ვერ გაართმევენ

3

## ყველაზე კარგი სომხები

26 აპრილს ერევანში საქართველოს ნაკრებს მასპინძლები უძლიერეს შემადგენლობას დაახვედრებენ

5

## ეჰ, თქვენ რა იცით, ბატონო ჯუზეპე...

რას ეტყოდა ეროვნული ჩემპიონატების რეკორდსმენი, გორელი ჯიმშერ მარეხაშვილი ცნობილ კოლეგა ბერგომის

8

## ხალხო, როცა მოვკვდები...



ჯორჯ ბესტი გამოფხიზლდა

8

## ახლა პარაგვაი ვნახოთ

მეორეჯგუფელი ქართველი ჭაბუკი მორაგბეები მეხუთე ადგილისთვის იბრძვიან

# თურქულ-ინგლისური ომი დანიაში გაგრძელდება

UEFA CUP





„გალათასარაიმ“ ლიდსელებს სძლია და კოპენჰაგენში ტონი ადამსის (ზედა ფოტოზე) „არსენალს“ უეფას თასს შეეცილება

ამდენი პოლიციელი ინგლისში გამართულ საფეხბურთო მატჩზე არასდროს ყოფილა, თუმცა ლიდსელმა ფანებმა შური სანახევროდ მაინც იძიეს — „გალათასარაის“ ავტობუსი დალეწეს, მერე კი, თურქი რომ ვეღარსად ნახეს, თანამემამულე პოლიციელებს მისდგნენ. მატჩი 10 წუთით გვიან დაიწყო და ევროთასების ისტორიაში თურქული კლუბის ფინალში პირველად გასვლით დამთავრდა. ამასობაში „არსენალმა“ „ლანსს“ მეორედაც მოუგო და ექვს წელიწადში მეორე ევროთასის მოპოვების შანსი გაუჩნდა. 1994 წელს თასების თასის ფინალში ლონდონელებმა „პარმა“ დაამარცხეს. ის ფინალი კოპენჰაგენში იყო. ესეც.

იხილეთ მეორე გვერდი

# ობრადოვიჩი უზადლოა, პანათინაიკოსი პირველი

ევროლიგა. ოთხთა ფინალი.

20 აპრილი. ფინალი

პანათინაიკოსი 73:67 მაკაბი

მერაბ რატიშვილი



სალონიკიდან

ათენის „პანათინაიკოსის“ მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ევროლიგის ფინალში თელ ავივის „მაკაბის“ წინაალმდეგ შავ მუშად აქცია თავისი გუნდის ლიდერი დეიან ბოდიროგა. ამით 40 წლის იუგოსლავიელმა ობრადოვიჩმა, ევროპის უძლიერესმა და ან უტიტულოვანესმა მწვრთნელმა ბოდიროგას „ოთხთა ფინალის“ უძვირფასესი მოთამაშის ტიტული დააკარგვინა, სამაგიეროდ, პირველად მოაგებინა ევროლიგა. თავად ობრადოვიჩისთვის ეს მეოთხე მოგებული ევროლიგაა. ასეთი წარმატებისთვის ჯერ არც ერთ მწვრთნელს არ მიუღწევია.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



„პანათინაიკოსის“ იუგოსლავიელი ცენტრი ჟელკო რებრაჩა: „ოთხთა ფინალის“ უძვირფასესი მოთამაშე

## უეფას თასი. ნახევარფინალი
II წრე. 20 აპრილი

UEFA CUP



REUTERS ლიდსიდან

ლიდსის მატჩის წინ: მასპინძლები თურქთა ავტობუსს უტევენ

### ლანსი (საფრანგეთი) 1:2 *არსენალი (ინგლისი)* (0:1)

0:1 ანრი (43), 1:1 ნუმა (73), 1:2 კანუ (86)
ლანსი: ვარმუზი, სიკორა, კუედრო, ფანფანი, ისმაილი, ნიარკო, დაკური, კირიდონი (როდრიგესი 75), ბლუნელი (მორეირა 59), სახო, ნუმა (ჟობი 89)
მწვრთნელი: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, სილვინიო, კიოუნი, ადამსი, ვიეირა, პეტი, ლიუნგბერგი (ოვერმარსი 70), პარლოუ, ბერხკამპი (კანუ 70), ანრი (გრიმანდი 82)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: გარსია არანდა (ესპანეთი)
41 500 მაყურებელი

### ლიდსი (ინგლისი) 2:2 *გალათასარაი (თურქეთი)* (0:2)

0:1 ჰაჯი (5 პ), 1:1 ბაკე (16), 1:2 ჰაქან შუქური (42), 2:2 ბაკე (68)
ლიდსი: მარტინი, მილსი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი (ჰაკერბი 46), ბოიერი, მაკფაილი, ბაკე, უილკოქსი, კიუელი, ბრიჯისი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გალათასარაი: ტაფარელი, ბულენტი, პოპესკუ, ემრე, არიფი (ჰაქან უნსალი 46), ოქანი (ჰასანი 87), სუათი (აჰმეთი 79), ჰაჯი, კაპონე, ჰაქან შუქური, ერგუნი
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
გაძევება: კიუელი (43), ემრე (45)
მსაჯი: ლუბოშ მიშელი (სლოვენია)
38 406 მაყურებელი



REUTERS ლანსიდან

ლანსი — არსენალი 1:2. მასპინძელი ნუმა თავურით ათანაბრებს

## უეფას თასი. ფინალი
17 მაისი. კოპენჰაგენი

UEFA CUP

**გალათასარაი (თურქეთი) — არსენალი (ინგლისი)**

## ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი

CHAMPIONS LEAGUE

**რეალი (ესპანეთი) — ბაიერნი (გერმანია)**
I წრე 3 მაისი, II წრე 9 მაისი

**ვალენსია (ესპანეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)**
I წრე 2 მაისი, II წრე 10 მაისი

## გერმანია

**ვერდერი 1:3 ლევერკუზენი**
0:1 კირსტენი (29), 0:2 რინკი (35), 0:3 ზე რობერტო (41), 1:3 ფლოკი (86)

**აინტრახტი 3:0 ჰამბურგი**
1:0 გუიე-მიენი (6), 2:0 ჩენ იანგი (71), 3:0 გუიე-მიენი (76)

**მეორე ბუნდესლიგა**
ჰანოვერი — ალემანია 3:1; მაინცი — ობერჰაუზენი 1:1; ნიურნბერგი — კიოლნი 1:1

## დანია

XXV ტური

ოლბორგი 7:1 ესბიერგი
ორჰუსი 3:0 ლიუნგბიუ
ბრიონდბიუ 4:0 ვაილე
კოპენჰაგენი 4:1 სილკებორგი
ვიბორგი 1:0 ჰერფიოლგე
აკადემისკი 0:2 ოდენსე

# მხოლოდ 112 დეპუტატი
## ფენერბაჰჩეს ქომაგმა რაღა დააშავა?




REUTERS ლიდსიდან

დავცხოთ თურქებს... თქვენთვის, კევინ და კრის... ნათელში გამყოფოთ... სამართალი!

დასავლეთ იორკშირის პოლიციის პრეს-ატაშემ ვითარებას რომ გადახედა, ასე შეაფასა: „ეს C კლასია, რაც უმაღლესი დონის უსაფრთხოებას ნიშნავს“.

მეორე პრეს-ატაშემ, რომელიც ამ C კლასის უსაფრთხოების მომწყობ ორგანიზაციას წარმოადგენს, განაცხადა: „ზომები საჭიროზე მეტადაა მიღებული“. რას გულისხმობთო, რომ ჰკითხეს, უპასუხა — დეტალურად საუბარი გაუმართებლად მიმაჩნიაო.

იცით, რა თანხა დაეხარჯა „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარეს, პიტერ რიდსდეილს ბრიტანულ გაზეთებში ინგლისურ და თურქულ ენებზე მოწოდებათა გამოქვეყნებაში? 189 ათასი დოლარი. მოწოდებათა შინაარსი, ალბათ, გასაგებია — უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩის წინ მთავარი შესაძლო სისხლისღვრის თავიდან აცილება გახლდათ. ორი კვირის წინ სტამბოლში ინგლისელი ფანების მკვლელობის გამო ლიდსში შურისძიების განწყობილება იგრძნობოდა. ცხადია, ეს საყოველთაო არ იყო, მაგრამ „იორკშირ პოსტში“ გამოქვეყნებული წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საფრთხე მაინც იგრძნობოდა.

„ჩემს ქმარს სიკვდილით დაემუქრნენ. ის რესტორანში მუშაობს და როდესაც ჰკითხეს, რა ეროვნების ხარო, იძულებული გახდა თურქობა დაემალა“ — წერდა ინგლისელი ქალბატონი ემა ჯეინ ორერი.

ამგვარად, მართალია უეფას გადაწყვეტილების გამო ინგლისს „გალათასარაის“ სტამბოლელი ქომაგები ვერ გაემგზავრნენ, მაგრამ საკუთრივ დიდ ბრიტანეთში 80 ათასი თურქია, ევროკავშირის სხვა ქვეყნებში მაცხოვრებლებზე რომ არაფერი ვთქვათ.

გარკვეული თვალსაზრისით, პრობლემა ამანაც შექმნა. ლონდონში თურქეთის საელჩოს წარმომადგენლებმა პოლიციას ურჩიეს სტადიონზე შეუშვან მათი ის თანამემამულენი, რომლებიც ლიდსს საკუთარი ნებითა და ხარჯით სტამბოლიდან კი არა, ევროპული ქვეყნებიდან ან სულაც საკუთრივ ინგლისიდან ეწვევიან. ისინი თვლიან, რომ მათი ტრიბუნაზე თავმოყრა უსაფრთხოების მეტ გარანტიას იძლევა, ვიდრე ქუჩაში დატოვება.

„უეფამ ხომ იმ ქომაგებს აუკრძალა სტადიონზე მისვლა, რომელთაც თურქეთიდან სურდათ ჩამოსვლა. გერმანიიდან მრავალ თურქს ველით და, ალბათ, მათი ტრიბუნაზე თავმოყრა სჯობს“ — ბრძანა საელჩოს პრესმდივანმა ირჰან თუნგმა.

„უეფამ თამაშზე დასწრება „გალათასარაის“ გულშემატკივრებს აუკრძალა. მნიშვნელობა არა აქვს, სად ცხოვრობენ ისინი. თურქისთვის ბილეთის ყიდვის ერთადერთი გზა სტამბოლის კლუბია, მას კი გაყიდვის ნებართვა ჩამორთმეული აქვს“ — განაცხადა თავის მხრივ „ლიდსის“ წარმომადგენელმა.

ამასობაში რიდსდეილმა GOOD MORNING TELEVISION-ში გამოსვლისას უბილეთო მოსახლეობას შინ დარჩენისკენ მოუწოდა: „ყველას, ვინც თამაშზე დასწრებას აპირებს, მაგრამ ბილეთი ვერ იშოვნა, შინ დარჩენას ვთხოვთ. ორი უდანაშაულო ოჯახი უკვე გაუბედურებულია. დაე, ფეხბურთი ფეხბურთად დარჩეს და ძალადობად ნუ იქცევა“.

...ლონდონის აეროპორტიდან „გალათასარაი“ ჩრდილო ინგლისის გაუხმაურებელ სასტუმროსკენ გაამგზავრეს. მოგეხსენებათ, სტამბოლელებს თან 11 გაწვრთნილი თურქი პოლიციელიც ჩაჰყვა. ისინი იორკშირელი პოლიციის დაგეგმილ უსაფრთხოების გეგმაში თავისი როლის შესასრულებლად გახლდნენ მოწოდებულნი. „მაგრამ მათ რაზმად დაბანაკების უფლება არ აქვთ“ — განაცხადა პრეს-ატაშემ.

ჩვეულებრივ ქომაგთაგან განსხვავებით, ლიდსის „ელანდ როუდზე“ დასწრების ნება 112 თურქ პარლამენტარს დაერთო (თავიდან 70-80-ს ასახელებდნენ), რომელთა შორის ქვეყნის ყოფილი პრემიერ მინისტრი თანსუ ჩილერიც გახლდათ.

და ბოლოს, „გალათასარაის“ ქომაგები რომ საშიში ხალხია, თავად სტამბოლში დამტკიცდა, სადაც, გაზეთ „საბას“ მტკიცებით, ერთი ინციდენტი მოხდა: სამმა ადამიანმა სტამბოლისავე მეორე გუნდის, „ფენერბაჰჩეს“ ქომაგს გუშინ ყურები მოაჭრა. დაზარალებული „რემბოდ“ ცნობილი გულშემატკივართა ლიდერი ოქან გულერი გახლდათ.

„როდესაც მანქანა მომიახლოვდა და მასში „გალათასარაის“ დროშა შევნიშნე, პანიკური შიში დამეუფლა. როდესაც ყურები სამართებლით დამაჭრეს, მომაძახეს, „ფენერბაჰჩეს“ აჭამეო“ — მოუყოლია გულერს, რომელიც მოძალადეთ მანქანაში ძალით ჩაუსვამთ და სტამბოლის აზიურ ნაწილში წაუყვანიათ.

**მიხეილ სურგულაძე**

# ზუსტი სროლა, დიდი ჯარიმა

გეხსომებათ, 12 აპრილს ბუნდესლიგის მორიგ ტურში „ბაიერნის“ ფრაიბურგში სტუმრობა დრამატული გამოდგა. აქაოდა, მსაჯი მიუნხენელთა მხარეს არისო, მავანმა 16 წლის გულშემატკივარმა პროტესტი მეტად უცნაურად გამოხატა — ოლივერ კანს გოლფის ბურთი ესროლა და პირდაპირ თავში გაარტყა. მეკარის ჭრილობა საგანგაშო არ ყოფილა, მომხდარი კი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიის მსჯელობის საგნად იქცა. ვერდიქტი ასეთია: მასპინძელი მხარე ვალდებულია, მეტოქე ფეხბურთელთა უსაფრთხოება უზრუნველყოს, რაც „ფრაიბურგმა“ ვერ შეძლო. ამიტომ კლუბს ჯარიმის გადახდა დაეკისრა, თანხა კი 75 ათას მარკას (36 ათასი დოლარი) შეადგენს.

ამასობაში დამნაშავე ყმაწვილი პოლიციამ დაკითხა და სასამართლო მალე სასჯელსაც გამოუტანს.



# დინამო თავიდან ასაწყობია

ისევ ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს" დაპირისპირებაზე.

ამას წინათ „დინამოს" გენერალურმა მდივანმა ვაჟა ჟვანიამ ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას მისამართით გარკვეული პრეტენზიები გამოთქვა. ისიც გვითხრა, ჟორდანიას პრეზიდენტობის მორალური უფლება არა აქვსო. „დინამოს" ფინანსური კრიზისი, ანჩაბაძისა და კიკნაძის „ალანიაში" ვერგადასვლა და ზოგი რამ სხვაც მას დააბრალა.

და კიდევ, მერაბ ჟორდანია „დინამოს" ანგრევს, „ბათუმს" ჩემპიონობის მოპოვებაში ეხმარებაო, აღნიშნა ჟვანიამ ინტერვიუში.

თავად ფედერაციის პრეზიდენტი კი ყველაფერს მშვიდად შეხვდა. პასუხის გაცემასაც არ აპირებს, რა საჭიროა, ქომაგებმა კარგად იციან, „დინამოსთვის" და ზოგადად ქართული ფეხბურთისთვის ვის რა გაუკეთებია ან დღეს რას აკეთებსო, ამბობს, თუმცა ჟვანიას ნათქვამიდან გამომდინარე რამდენიმე კითხვაზე პასუხს არ დაგვზარდა და ფედერაციის აღმასკომის გუშინწინდელი სხდომის მერე თავის კაბინეტში გვიმასპინძლა.



მერაბ ჟორდანია

საუბარიც დღესდღეობით „დინამოს" უმთავრესი პრობლემით — იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციით დავიწყეთ.

— ის სტრუქტურული ფორმა, როგორიც საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" აქამდე ჰქონდა, აუცილებლად შეიცვლება. როგორ აჯობებს, ამას ალბათ იურისტები გაარკვევენ. ყოველ შემთხვევაში, სწორედ „დინამოს" ირგვლივ შექმნილი ვითარების გამო შეიქმნა სახელმწიფო კომისია და ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო კანცელარიაში ერთხელ უკვე შეიკრიბნენ. არ შეიძლება, „დინამოს" სტრუქტურა ძველებურად დარჩეს, რადგანაც კლუბის მეწილეებიდან ორს — მე და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტკლუბ „დინამოს" ამისი არანაირი სურვილი არ გვაქვს. დარწმუნებული ვარ, იურისტები იმ ვარიანტს მიაგნებენ, რაც ყველასთვის სასარგებლო იქნება.

**— „დინამოს" მეწილე თქვენსა და შსს-ს გარდა ვინ არის?**

— შპს „ბერმუხა".

**— ითქვა, რომ „დინამოში" ახლა ყველაფერი კანონიერია და მათ საქმიანობა შეუძლიათ. თქვენ კი საპირისპიროს ამბობდით.**

— ახლაც იგივეს გავიმეორებ. „დინამომ" იუსტიციის სამინისტროში ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაიაროს.

**— უკანონო გუნდი ჩემპიონატში როდემდე ითამაშებს?**

— ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, „დინამო" ამ ჩემპიონატს ჩაამთავრებს, მერე კი... მომავალ სეზონამდე ალბათ სახელმწიფო კომისიაც დაამთავრებს ამ საკითხზე მუშაობას.

**— თქვენ რას ფიქრობთ, სტრუქტურულად როგორი მოწყობა აჯობებს „დინამოსთვის"?**

— მე, რასაკვირველია, ჩემი აზრი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით თავს შევიკავებ.

**— ახალი რეგისტრაციის შემდეგ „დინამოს" ამჟამინდელი ხელმძღვანელობა შეიცვლება?**

— ვერ გეტყვით, იქნებ შეიცვალოს, იქნებ — არა. ეგ კომისიის დასკვნისა და სასამართლოში რეგისტრაციის შემდეგ გაირკვევა. ფედერაცია საქმეს არჩეულ ხელმძღვანელობასთან დაიჭერს, რომლებიც იურიდიულად იქნებიან გაფორმებულნი. საამისო საბუთი ფედერაციაში უნდა იყოს. ისე კი, მიმაჩნია, რომ ახლანდელი ხელმძღვანელობა კლუბის მართვის საქმეს მომავალში თავს ვერ გაართმევს. მე ასე მგონია.

**— სავარაუდოდ, როდის დაამთავრებს კომისია მუშაობას?**

— ზუსტად არ ვიცი, ალბათ, მალე.

**— ისიც თქვეს, იმ 300 ათას დოლარს, რომელიც „დინამოს" „მრეტებისა" მართებს, ჟორდანია გადაიხდისო...**

— ის ფული კლუბმა კლუბს უნდა გადაუხადოს. რაღაც ულოგიკობაა. „დინამოსა" და „მრეტებს" შორის კონტრაქტი, სხვათა შორის, ჩემს პრეზიდენტობამდე გაფორმდა. მე კი ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ყველაფერი გავაკეთე, „დინამოს" „მრეტებისთვის" გადასახდელი თანხა რომ შემემცირებინა. ხომ გახსოვთ, „მრეტები" მილიონამდე დოლარს ითხოვდა. ფედერაციის გენერალური მდივანი საგანგებოდ ფიფაში მივავლინე და საქმეც საბოლოოდ გავარკვიეთ.

**— კობიაშვილის, იაშვილის, ცქიტიშვილისა და ალექსიძის სანაცვლოდ მიღებული თანხა „დინამოში" არ არის, ფედერაციაშიაო, ესეც თქვეს.**

— რა შუაშია ფედერაცია. ვერ გამიგია, ფედერაციასა და „დინამოს" ერთმანეთს რატომ უკავშირებენ. ჩემს დროს „დინამოდან" წასული ფეხბურთელების ყველა საბუთი „დინამოში" არის. ტრანსფერებიდან მიღებული თანხაც, რა თქმა უნდა, კლუბს მოხმარდა. ფედერაციაში რატომ უნდა იყოს ის ფული?

**— კიკნაძის „ალანიაში" ტრანსფერის ხელისშემშლელი ჟორდანიააო. ასეა?**

— არ ვიცი, „ალანიამ" და „დინამომ" ამ ფეხბურთელის თაობაზე, ეტყობა, ვერ მოილაპარაკეს და „სამსუნსფორი" რასაც ითხოვდა, 90 ათას დოლარს, თურქებს არ გადაუხადეს.

**— „დინამოს" დაუკითხავად გამოითხოვა ფედერაციამ კიკნაძე „სამსუნსფორიდან"?**

— ვინც მაშინ „დინამოს" პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი იყო — რომან შოთაძემ.

თუ „ალანიას" კიკნაძის თავისთან გადაყვანა სურდა, ეგ პრობლემა არ იყო, გადაეხადათ თურქული კლუბისთვის ის ფული და საქმეც გაკეთდებოდა. „სამსუნსფორი" კიკნაძის განთავისუფლების ფურცელს ან რუსეთში გააგზავნიდა, ანაც ჩვენ გამოგვიგზავნიდა, ჩვენ კი — რუსებს გადავცემდით. ყოველ შემთხვევაში, კანონი რომ არ დარღვეულიყო, ისე მოვიქცეოდით.

**— და ერთიც. აშვეთიას თაობაზე. ფედერაციამ ფეხბურთელს რუსეთში თამაშის ნება ორი კვირით მისცა. მას შემდეგ თითქმის თვე გავიდა, აშვეთია კი ისევ „ალანიაშია".**

— ტრანსფერის ვადა აშვეთიას იქამდე გავუგრძელეთ, ვიდრე „დინამოში" ვითარება გაირკვევა. ამის შესაბამისად შეგვიძლია, ფეხბურთელი ნებისმიერ დროს უკან დავაბრუნოთ.

**ქობა ინასარიძე**

# გიორგი ქინქლაძემ დერბიში სახლის ყიდვა გადაწყვიტა

## გუშინწინდელი ტრანსფერიდან ფული მანჩესტერ სიტისაც ერგო

3 000 000 გირვანქად ამსტერდამის „აიაქსიდან" გამოსყიდული ქინქლაძე მეტად კარგ ხასიათზეა. „დერბი ქაუნთისთან" 3-წლიანი კონტრაქის გაფორმებამ ქართველს დერბიში საკუთარი სახლის შეძენა გადააწყვეტინა. აქამდე გიორგი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა.

„ბედნიერი ვარ, რაც აქ გადმოვედი, ყველა გვერდში მიდგას. „აიაქსი" და ცუდი მოგონებები უკან მოვიტოვე. მწამს, გაისადაც პრემიერლიგაში ვითამაშებთ და უკეთესი გუნდი გვეყოლება. აქ სახლის ყიდვას ვაპირებ. დერბიში ისე ვგრძნობ თავს, როგორც შინ" — განაცხადა პრესასთან საუბარში გიომ.

„აქამდე ჩვენს გუნდში ქინქლაძის დარი ნიჭიერი ფეხბურთელი მხოლოდ სამი გვყავდა — ჩარლი ჯორჯი, ფრენი ლი და კევინ ჰექტორი. მჯერა, გიორგი უკეთესად ითამაშებს. აქ რომ გადმოვიდა, ძლიერ დეპრესიაში იყო. ჩვენ ვაგრძნობინეთ, რომ მასზე დიდ იმედებს ვამყარებდით, მანაც ძალიან სწრაფად აღიდგინა ფორმა და „დერბის" წამყვან მოთამაშედ იქცა. ქართველმა კაცური საქციელით გვიპასუხა" — უთხრა „დერბის" მენეჯერმა ჯიმ სმიტმა ინგლისურ გაზეთ „გარდიანს".

„გიორგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია, ამ ხნის განმავლობაში კიდეც დაღვინდა. იგი უფრო უკეთესად ხედავს მინდორს და ახლა უკვე გუნდისთვის თამაშობს. ეს დიდი პროგრესია. „დერბის" თამაშს მომავალში ქინქლაძეზე ავაგებთ" — განაცხადა „დერბის" თავმჯდომარე კიტ ლორინგმა.

გუშინწინ განხორციელებული ტრანსფერიდან თავისი წილი ქინქლაძის ყოფილ კლუბ „მანჩესტერ სიტისაც" მიუღია. თანხის ოდენობა არ დაუსახელებიათ. უცნობია, ერგოთ (ან ერგებოდა) თუ არა რაიმე ქინქლაძის ქართულ გუნდებს — „დინამოსა" და „მრეტებს". მოლაპარაკებებისას „მანჩესტერ სიტის" კიდევ ერთხელ დაუდასტურებია, რომ არ სურს ქართველი ფეხბურთელის შეძენა. შეგახსენებთ, „სიტიდან" „აიაქსში" გადასვლისას კონტრაქტში ჩაიწერა, რომ თუ „აიაქსი" ქინქლაძის გაყიდვას მოინდომებდა, მისი ყიდვა პირველებს მანჩესტერლებს შეეძლოთ.

გიორგის ამ დღეებში ტრავმაც მოუშუშდა, რის გამოც მან „პრაიდ პარკზე" „ვესტ ჰემთან" ვერ ითამაშა. ჯიმ სმიტს დიდი იმედი აქვს, რომ ქართველი აუცილებლად გაიბრწყინებს მომავალ შეხვედრაში ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ „ბრედფორდთან". ამ საგარეო მატჩს „დერბისთვის" ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**სიმონ მენაბდე**



პირველი დერბული გოლი გიორგი ქინქლაძემ „უიმბლდონს" გაუტანა

# ფინალისტს რა...

ზაფხულში ოთხი ჩვენებური კლუბი ევროთასების დაუსრულებელ (ქართველებისთვის!) აღმართს შეუყვება.

უეფამ ევროტურნირებში მონაწილეობისთვის ოთხი ადგილი გამოგვიყო (მეტს ნამდვილად არ ვიმსახურებთ). ერთი, საუკეთესო, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაებმება (ლიგაზე ბოდაში), ორი უეფას თასზე მოსინჯავს ძალებს — აქედან ერთი პრიზიორი, ერთიც თასის მფლობელი. ბოლო რჩეული კი ინტერტოტოს თასზე იბურთავებს.

კი მაგრამ, ხომ შეიძლება, საქართველოს თასი და ჩემპიონატიც ერთმა გუნდმა მოიგოს. შეუძლებელი თითქმის არაფერია და არც არის გამორიცხული, ასეთი რამ მოხდეს. მაშინ ბუნებრივია კითხვაც, სად წავა ფინალისტი (ვთქვათ „ლოკომოტივი")?

პასუხი მარტივია — სად და შინ. ფინალისტი ევროტურნირებზე ვერ გაინავარდებს. ასეთი გადაწყვეტილება თავად უეფამ გამოიტანა.

საქართველოს თასის ფინალისტი საპატიო სიგელსა და მედალს მიიღებს, მერე მომდევნო გათამაშებისთვის მოემზადება და, ვინ იცის, თუ გაუმართლა...

**დათო დანელია**

# ყველა საუკეთესო სომეხი რაზდანზე

## მასპინძლები უძლიერეს შემადგენლობას გვახვედრებენ

ერევნის „რაზდანის" სტადიონზე ახლა ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება მიმდინარეობს და 70 ათასი ადგილიდან დასხდომა 40 ათასზე შეიძლება. ჩვენი სომეხი კოლეგის თქმით, სომხეთ-საქართველოს ამხანაგურ მატჩზე 20 ათასამდე ბილეთი უკვე გაყიდულა.

როგორც გუშინ ვწერდით, ერევანში ჩვენებურების სტუმრობას მოუთმენლად ელიან. სომხეთის ნაკრები 26 აპრილის მატჩისთვის უკვე შეკრებილა და მზადებაც დაუწყია, თუმცა კი ჯერჯერობით არასრულად. ნაკრებში მიწვეული ლეგიონერები დანარჩენებს 23 აპრილს შეუერთდებიან.

მწვრთნელმა ვარუჟენ სუკიასიანმა ქართველთა წინააღმდეგ სათამაშოდ დღეისთვის საუკეთესო ყველა სომეხ ფეხბურთელს უხმო. ის საქართველოს ნაკრებს უძლიერეს შემადგენლობას დაახვედრებს. სუკიასიანმა სულ 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

*მეკარეები: რომან ბერეზოვსკი (ზენიტი, რუსეთი), არუთუნ აბრამიანი (არარატი);*

*მცველები: სარქის ოვსეპიანი (ზენიტი, რუსეთი), არუთუნ ვარდანიანი (ფორტუნა, კიოლნი, გერმანია), ერვან სუკიასიანი (კლოპენბურგი, გერმანია), არტურ მკრტიჩიანი, კარენ დოხოიანი (ორივე არაქსი), ფელიქს ხოჯოიანი (კლოსლინგერი, შვეიცარია), ტიგრან ლაზანჩიანი (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი);*

*ნახევარმცველები: არტურ პეტროსიანი (შირაქი), ალბერტ სარქისიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), რომიკ ხაჩატრიანი, რაფაელ ნაზარიანი, არტაკ მინასიანი (ყველა არაქსი), ტიგრან პეტროსიანი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), არტურ ვოსკანიანი (ურალანი, რუსეთი), ართავაზ ქარუმიანი (კილიკია), კარენ ასატრიანი (სოლეიბიჰატი, ქუვეითი);*

*თავდამსხმელები: არმენ შაჰგელდიანი (დინამო, რუსეთი), არამ აკოფიანი (არაქსი), არა აკოფიანი (ალანია, რუსეთი), არმან ქარუმიანი (კილიკია), არტურ მინასიანი (არარატი)*

ამ ფეხბურთელებიდან ხუთს აქვს 1997 წლის 30 მარტს თბილისში სომხეთის ნაკრებში ნათამაშევი, ხუთსაც ამას წინათ „არაქსის" მაისურით ქუთაისში „ტორპედოს" წინააღმდეგ.

**ქობა ინასარიძე**

# რეგიონალური ლიგა

## დასავლეთი

### „ა“ ზონა

XV ტური

15 აპრილი

**ინტერი 1:1 რწმენა**

0:1 რობაქიძე (80), 1:1 შ. მაღლაკელიძე (87)
გაფრთხილება: გენებაშვილი, გერეშიძე (ორივე ინტერი), სოფრომაძე, მუშკუდიანი (ორივე რწმენა)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

**გაგრა 0:0 მეტალურგი**

გაფრთხილება: მანაგაძე (გაგრა)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**მეშახტე 0:5 იბერია**

0:1 ბობოხიძე (54), 0:2 თ. მაღლაკელიძე (71), 0:3 ბობოხიძე (74), 0:4 ზ. მეტრეველი (75), 0:5 შარაშენიძე (82 ს.კ.)
გაფრთხილება: ჩიტიძე (მეშახტე), ხმალაძე, გიორგაძე (ორივე იბერია)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**რაჭა 3:1 მაღაროელი**

1:0 მურუსიძე (42), 2:0 შარაბიძე (47), 2:1 შეყილაძე (73), 3:1 ჩიტილაძე (89)
გაფრთხილება: პაპიძე (რაჭა), გოცაძე (მაღაროელი)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**მარგვეთი 7:0 სულორი**

1:0, 2:0 ჯლარკავა (43, 48), 3:0 შველიძე (55), 4:0 გაბრიჭიძე (57), 5:0 გეწაძე (69), 6:0 ბარდაველიძე (73), 7:0 სულაკაძე (84)
*შეყრილაძემ ვერ გაიტანა პენალტი (80, მარგვეთი)*
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**ოკეანე 3:2 გურია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 15 | 12 | 3 | 0 | 51:11 | 39 |
| ოკეანე | 15 | 9 | 3 | 3 | 34:17 | 30 |
| იბერია 2 | 15 | 6 | 6 | 3 | 26:18 | 24 |
| მეტალურგი | 15 | 6 | 5 | 4 | 23:21 | 23 |
| გაგრა | 15 | 5 | 6 | 4 | 20:22 | 21 |
| ინტერი | 14 | 5 | 6 | 3 | 18:12 | 21 |
| რწმენა | 15 | 4 | 6 | 5 | 12:17 | 18 |
| რაჭა | 15 | 4 | 6 | 5 | 20:19 | 18 |
| სულორი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:32 | 17 |
| მაღაროელი | 15 | 2 | 5 | 8 | 20:28 | 11 |
| მეშახტე | 14 | 2 | 4 | 8 | 15:40 | 10 |
| გურია | 15 | 2 | 1 | 12 | 14:32 | 7 |

## დასავლეთი

### „ბ“ ზონა

XV ტური

13 აპრილი

**ლაზიკა 0:0 კოლხეთი 2**

გაფრთხილება: გულორდავა (ლაზიკა)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

14 აპრილი

**ბახმარო 1:2 ჩელა**

0:1 ჭანია (27), 1:1 თავბერიძე (65), 1:2 ჭანია (80)
გაფრთხილება: ბ. გიორგაძე, ზ. დოლიძე, გეფერიძე (ყველა ბახმარო), კ. აბსანძე, თ. აბსანძე (ორივე ჩელა)
გაძევება: ბ. გიორგაძე (80, ბახმარო)
მსაჯი: მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

15 აპრილი

**ბათუმი 2 0:2 ზუგდიდი**

0:1 დიდიძე (79), 0:2 ჯოლოხავა (85)
გაფრთხილება: სიამაშვილი, დარჩიძე (ორივე ბათუმი 2), ბერულავა, საჯაია (ორივე ზუგდიდი)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სამეგრელო 0:4 მეგრი**

0:1 კუტალია (28), 0:2 იოსავა (42), 0:3 კუტალია (52), 0:4 თოლორაია (88)
*სიჭინავამ ვერ გაიტანა პენალტი (45, სამეგრელო)*
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**შუქურა 7:0 მერცხალი**

1:0, 2:0 კალანდაძე (18, 24), 3:0 ბერიძე (26), 4:0, 5:0 კაკალაძე (29, 70), 6:0 მესხიძე (73), 7:0 კაკალაძე (87)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**ფაზისი 5:1 სქური**

0:1 როგავა (5), 1:1, 2:1, 3:1 მასხულია (36, 51, 57), 4:1 ხარბედია (61), 5:1 კუპრავა (77)
გაფრთხილება: მასხულია (ფაზისი), ჯოლია (სქური)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 15 | 13 | 2 | 0 | 52:13 | 41 |
| ზუგდიდი | 15 | 10 | 2 | 3 | 41:14 | 32 |
| მეგრი | 15 | 10 | 2 | 3 | 22:11 | 32 |
| ლაზიკა | 15 | 8 | 4 | 3 | 29:13 | 28 |
| კოლხეთი 2 | 15 | 8 | 4 | 3 | 18:14 | 28 |
| ფაზისი | 15 | 8 | 3 | 4 | 26:23 | 27 |
| სამეგრელო | 15 | 4 | 3 | 8 | 19:26 | 15 |
| სქური | 15 | 4 | 2 | 9 | 21:36 | 14 |
| ბათუმი 2 | 15 | 1 | 8 | 6 | 14:22 | 11 |
| ჩელა | 15 | 2 | 3 | 10 | 15:39 | 9 |
| მერცხალი | 15 | 1 | 5 | 9 | 8:26 | 8 |
| ბახმარო | 15 | 1 | 2 | 12 | 10:38 | 5 |

## აღმოსავლეთი

### „ა“ ზონა

XIV ტური

13 აპრილი

**ივერია 1:0 ცხინვალი**

1:0 ბ. ჩიტაია (38)
გაფრთხილება: გულაშვილი (ივერია), გელაშვილი (ცხინვალი)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**ცხუმი 0:1 მრეტები**

0:1 გურგენიძე (15პ)
გაფრთხილება: ქიქავა, ბოჯგუა (ორივე ცხუმი), ხუციშვილი, ბოგვერაძე (ორივე მრეტები)
მსაჯი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**თორი 3:0 არაგვი**

1:0, 2:0, 3:0 გლუნჩაძე (29, 35, 65)
გაფრთხილება: მარტიროსიანი (არაგვი)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

**საუ 5:0 ვარძია**

1:0 ხაჩიძე (39), 2:0, 3:0, 4:0 დემურიშვილი (43, 49, 57), 5:0 ჭიქინაშვილი (83პ)
გაფრთხილება: მაზმიშვილი (ვარძია)
გაძევება: დ. გვირჯიშვილი (83, ვარძია)
მსაჯი: ნ. კილაძე (თბილისი)

**განთიადი 0:2 იბერია**

0:1 კასრაძე (25), 0:2 არეშიძე (87)
გაფრთხილება: კასრაძე (იბერია)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 13 | 10 | 2 | 1 | 24:3 | 32 |
| თორი | 14 | 10 | 1 | 3 | 30:11 | 31 |
| ივერია | 14 | 10 | 0 | 4 | 35:15 | 30 |
| იბერია | 14 | 7 | 1 | 6 | 21:16 | 22 |
| განთიადი | 13 | 7 | 1 | 5 | 23:23 | 22 |
| ცხუმი | 14 | 6 | 2 | 6 | 23:16 | 20 |
| მესხეთი | 13 | 5 | 4 | 4 | 28:27 | 19 |
| საუ | 14 | 5 | 1 | 8 | 19:24 | 16 |
| ვარძია | 14 | 3 | 1 | 10 | 10:36 | 10 |
| მრეტები | 13 | 2 | 4 | 7 | 11:26 | 10 |
| არაგვი | 14 | 1 | 1 | 12 | 12:39 | 4 |

## აღმოსავლეთი

### „ბ“ ზონა

XIV ტური

14 აპრილი

**ჭაბუკიანი 0:1 ლოკომოტივი 2**

0:1 ნ. ბაქრაძე (58)
გაფრთხილება: უ. მეტრეველი (ჭაბუკიანი), ჩაჩუა, დ. ბაქრაძე, შავშიშვილი (ყველა ლოკომოტივი 2)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

15 აპრილი

**აკადემია 0:0 თბილისი 2**

გაფრთხილება: დ. ბახტაძე (აკადემია), მამალაძე, ჩივაძე (ორივე თბილისი 2)
მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**ხალიბი 3:0 ამირანი**

1:0, 2:0 მიქავა (47, 49), 3:0 სოხაძე (72)
გაფრთხილება: ზაზაშვილი, ნ. ლაბაძე (ორივე ხალიბი), აბულაძე (ამირანი)
მსაჯი: ზ. ჯვარიძე (თბილისი)

**ყვარელი 0:4 ალაზანი**

0:1, 0:2 ვარამიშვილი (54, 60), 0:3 ტოკლიკიშვილი (67), 0:4 მიკუჩაძე (77)
გაფრთხილება: ყიზილაშვილი, სომხიშვილი, წოდოლაშვილი (ყველა ყვარელი), ვარამიშვილი (ალაზანი)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**სამგორი 1:1 არსენალი 2**

1:0 შ. მეტრეველი (17), 1:1 ვ. ღუდუშაური (35)
*არქანიამ ვერ გაიტანა პენალტი (89, სამგორი)*
გაფრთხილება: კალანდაძე (სამგორი), ჩალაძე, ვ. ღუდუშაური (ორივე არსენალი 2)
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 13 | 10 | 1 | 2 | 28:11 | 31 |
| ზოოვეტი | 13 | 9 | 2 | 2 | 32:17 | 29 |
| არსენალი 2 | 14 | 8 | 4 | 2 | 29:16 | 28 |
| ჭაბუკიანი | 14 | 8 | 2 | 4 | 22:9 | 26 |
| ალაზანი | 13 | 7 | 2 | 4 | 24:16 | 23 |
| ამირანი | 14 | 6 | 2 | 6 | 21:17 | 20 |
| ხალიბი | 14 | 5 | 2 | 7 | 17:22 | 17 |
| აკადემია | 13 | 3 | 4 | 6 | 9:11 | 13 |
| თბილისი 2 | 14 | 3 | 3 | 8 | 17:23 | 12 |
| სამგორი | 14 | 2 | 1 | 11 | 15:39 | 7 |
| ყვარელი | 14 | 2 | 1 | 11 | 12:35 | 7 |

# ზარიდან ზარამდე

ისევ და ისევ „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ სკანდალური მატჩი უნდა გავიხსენოთ. ყველაზე მეტად იმ შეხვედრაში არბიტრი, ქარელელი გურამ ასკაროღლი დაზარალდა. თავისდაუნებურად მატჩიც ჩააგდო, გვარიანადაც გაილახა და საფინალო სასტვენის მიუცემლად დატოვა ეროვნული სტადიონის მოედანი. ასკაროღლი საქვეყნოდაც გამოაჭენეს და მკაცრად დასაჯეს — სამი კალენდარული თვით აუკრძალეს მსაჯობა. მოგვიანებით ქარელელი მსაჯი ბევრს იხვეწებოდა. შემიწყალეთ, სასჯელი შემიმსუბუქეთო, მაგრამ ამაოდ.

ასკაროღლის გამლახავი ბალაშვილის ამნისტიაზე ჯერ კიდევ ორი თვის წინ დაიწყეს ლაპარაკი, დასჯილი შავოსანი კი არავის გახსენებია და მსაჯმაც ზარიდან ზარამდე მოიხადა სასჯელი.

ასკაროღლი საქმეს რეგიონალური ლიგიდან შეუდგა. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მან ქვედა ლიგის პრინციპული მატჩი იმსაჯა — „ცხინვალი“ — „ივერია“. სასჯელმოხდილ არბიტრს თავად ანატოლი მილჩენკო აკვირდებოდა იმ შეხვედრაში და, როგორც ჩანს, კმაყოფილიც დარჩა მსაჯ-ინსპექტორთა კომიტეტის თავკაცი. ამას ისიც მოწმობს, რომ პირველი ლიგის მერვე ტურში ასკაროღლი „გორდა“ — „არსენალის“ სათადარიგო არბიტრადაა დანიშნული.



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

შერისხულ გურამ ასკაროღლის დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა

მოკლედ, გურამ ასკაროღლი პირველ ლიგას დაუბრუნდა. მართალია, მეოთხე არბიტრად და არასრულფასოვნად, მაგრამ გაიხსენეთ, ძველ დროში სასჯელმოხდილებს სამუშაოზე აღდგენა კი არა, ბევრი სათოფეზეც არ იკარებდა, მაგრამ ჩვენ ხომ უკვე კარგა ხანია, დემოკრატიულ რელსებზე შევდექით.

**პაატა ძვანტალიანი**

# ლიგაც მოინათლა

დღეს დიდი ხმაურია ბავშვთა ფეხბურთის ირგვლივ და სამართლიანადაც. ეს სფერო ჩვენში ფაქტობრივად გაუკონტროლებელია. ნორჩები მშობლებს ვითომ საფეხბურთო აგენტების საშუალებით კაპიკების ფასად გაჰყავთ საზღვარგარეთ და ამით ისედაც წამხდარი ქართული ფეხბურთი ბევრსაც კარგავს. ამ პრობლემის გამოსასწორებლად ერთგვარი კამპანიაც გააჩაღა სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტმა, მაგრამ ფაქტია სატრანსფერო სისტემის დარეგულირებას მარტო ასაკობრივი ცენზის შემოღება ვერ შეუწყობს ხელს. საჭიროა, ძირეული სამუშაოების ჩატარება საფეხბურთო სკოლებში და ბავშვთა გუნდების მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლება. სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტი შემოდგომისთვის მწვრთნელთა მოსამზადებელი ცენტრის ჩამოყალიბებას ვარაუდობს, ოღონდ ჯერაც გაურკვეველია, კონკრეტულად ვინ უხელმძღვანელებს ამ საქმეს.

ამას წინათ სფფ-ს თაოსნობით ჩამოყალიბდა ბავშვთა საფეხბურთო ლიგა, ამ ფაქტს ჩვენი საფეხბურთო ჩინოვნიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ფიქრობენ, რომ ბავშვთა ლიგა ხელს შეუწყობს მოზარდთა ჩამოყალიბებას, სტიმულს მისცემს მათ და სრულყოფილი სასელექციო სამუშაოებისთვისაც მეტი საშუალება გაჩნდება. რამდენად რეალურია სფფ-ს მოსაზრება, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი ორი დღის წინ გამართულმა აღმასკომის სხდომამ ახლადჩამოყალიბებულ ლიგას სახელი მოუძებნა. ამიერიდან ჩვენში ბავშვთა ფეხბურთში უპირველესი შეჯიბრება ბორის პაიჭაძის სახელობისა იქნება.

**პაატა ძვანტალიანი**

# ვიტ ჯორჯიას მელქაძე გამოაკლდა

თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ახალწვეული ლევან მელქაძე სეზონის მიწურულამდე გამოაკლდა. მელქაძეს ბოლო დროს საზარდული აწუხებდა, ცოტა ხნის წინ კი ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში ოპერაციაც გაიკეთა.

ვიტელთა მთავარი მწვრთნელის სერგო კოტრიკაძის თქმით, თავდამსხმელი სავარაუდოდ მაისის მეორე ნახევარში შეძლებს მინდორზე გასვლას, რადგან რეაბილიტაციას დაახლოებით სამი-ოთხი კვირა სჭირდება.

შეგახსენებთ, ლევან მელქაძე „ვიტ ჯორჯიას“ ამ ზამთარს შეუერთდა, მანამდე იგი „თბილისის“ ღირსებას იცავდა.

მელქაძე უდროო დროს დაშავდა, რადგან ბოლო დროს ვეტერინარებს ევროტურნირებზე გასვლის კარგი შანსი გაუჩნდათ. ახლა ცხრილის ზედა ნაწილში ისეთი დაძაბული ვითარებაა, ეროვნულ ჩემპიონატს ჯერ რომ არ ახსოვს. მომდევნო მატჩებში უშუალო კონკურენტებთან მელქაძის არყოფნა ვიტელებისთვის არც თუ უმნიშვნელო დანაკლისია.

**ვანო ოქროპირიძე**



# ეჰ, თქვენ რა იცით, ბატონო ჯუზეპე...

## ჯიმშერ მარეხაშვილმა საკუთარ თავს ერთგულება მიუსაჯა

მუდამ ჩუმია, გულჩათხრობილი. მის ხმას ვერ გაიგებ, თითქმის არ ლაპარაკობს. სამაგიეროდ, მოედანზე იყო სხარტი და გამორჩეული. ახლა მას წლები უმძიმებს ზურგს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, აქლემი ისე არ დავარდებაო... „დილას" ცენტრალური ნახევარმცველი რეკორდსმენია — 300 მატჩი ეროვნულ ჩემპიონატებში ჩვენში ჯერ არავის უთამაშია. მხოლოდ „დილაში", მხოლოდ პირველ ჯგუფში. ამით თავს ჯერჯერობით მის გარდა ვერავინ მოიწონებს. ჯიმშერ მარეხაშვილი თამაშობდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში, საკავშირო პირველობაზეც გარჯილა, პირველ და მეორე ლიგებში ჯერ ქუთაისის „ტორპედოს" ღირსებას იცავდა, მერე მშობლიური „დილასთვის" მოჰქონდა სარგებელი. გორში ვართ, სტადიონის ტრიბუნაზე მოკალათებულნი. მარეხაშვილი „სარბიელის" რესპონდენტია. ინტერვიუებს მაინცდამაინც ჩვეული არაა. ვხედავ, უჭირს, თანაც საკმაოზე მეტადაა აღელვებული.


ნუგზარ კილაძის ფოტო

— ქუთაისში თამაში გამოვტოვე, გუნდს არ დავხმარებივარ. შეიძლებოდა, იქაც მეთამაშა, „ტორპედო" ხომ ნაცნობი გუნდია ჩემთვის, ერთი სრული სეზონი იქ გამიტარებია, მაგრამ მესამასე მატჩის ჩატარება მშობლიურ სტადიონზე და საკუთარი ქომაგის თვალწინ მსურდა. ამაში ალბათ, არავინ დამძრახავს.

ისე, ქუთაისელი გულშემატკივრები მე და დრაბას („დილას" ყოფილი ფეხბურთელი და მეკარე დავით შავდათუაშვილი) აფრიკელებს გვეძახდნენ. „ტორპედოს" ახალწვეულები ვართ, საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის მორიგი მატჩია. ვის ვმასპინძლობდით, არც მახსოვს. მწვრთნელს შეცვლაზე შევყავართ. ვდგავართ ორი გორელი, ორივე შავგვრემანი, მინდვრის კიდესთან და თამაშის გაჩერებას ველით. ამ დროს წამოხტა ვიღაც ქომაგი და მწვრთნელს შეუძახა, კაცო, ეს მოზამბიკელები სადღა იპოვეო. ასე მოგვეტყეპა ზანგის იარლიყი.

**— ხუმრობის ხასიათზე კი მოხვედი, მაგრამ ვატყობ, რაღაცაზე გწყდება გული. რას ნანობ?**

— რომ ვთქვა, უბედური ვარ-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ბევრი ბედნიერი წუთი განმიცდია. ფეხბურთმა მრავალი მეგობარი შემძინა, ჩვენ დღესაც ერთად ვართ, მაგრამ ცხოვრებამ, განსაკუთრებით ეროვნული ჩემპიონატების ათმა წელიწადმა, ერთი წამივით გაირბინა. ამ ხნის მანძილზე „დილას" წარმატებას ვერ შევესწარი. არადა, პატრონი რომ ყოფილიყო, ამას მივაღწევდით. აი, რაზე მწყდება გული და რას ვნანობ.

**— ეროვნულ ჩემპიონატში შენი პირველი მატჩი თუ გახსოვს?**

— მახსოვს და არც არასდროს დამავიწყდება. 1990 წლის 3 მარტი იყო, ლანჩხუთში „გურიას" ვეთამაშებოდით. 50 ათასი გულშემატკივარი, საინტერესო და უშელავათო ბრძოლა. აბა, ფეხბურთი მაშინ იყო...

**— ათი წლის მანძილზე, შენი აზრით, რომელი იყო ყველაზე დაძაბული ჩემპიონატი და რომელი — უინტერესო?**

— პირველ და მეორე გათამაშებას ვერც ერთი შეედრებოდა. მაშინ აქეთ ჩამოდიოდნენ ლეგიონერები და საზღვარგარეთ არავინ გარბოდა. ყველაზე დაბალი დონისა კი წლევანდელი გათამაშება მგონია. კი, ვითომ დაძაბულია, მაგრამ თამაშის ხარისხი არნახულად უვარგისია. ამაზე უარესი არც ვიცი, რა უნდა იყოს.

**— როგორ გგონია, რატომ გაუჭირდა ქართულ ფეხბურთს?**

— რა ქვეყანაცაა, ფეხბურთიც ისეთია. საქმეს როგორი მკეთებელიც ჰყავს, ისეთი გამოდის. დაგვიჟინია, ქართველები ნიჭიერები ვართო. ჩვენზე გაცილებით უკეთესებიც ყოფილან. დღეს ყველას ძალუძს, მოგვიგოს, ისეთებსაც, რომლებიც ქართველებთან გასახდელშივე ეგუებოდნენ დამარცხებას. ათი წელია, ჩემპიონატში ვთამაშობ და დიდი მომავლისა თუ იმედისმომცემი ბევრიც ვერავინ ვნახე.

**— გამოდის, ის ათწლიანი შრომა და ოფლის ღვრა წყალში გადაგიყრია.**

— ვისთვის როგორ. ჩემპიონატი რომ არ ვარგა, ჩემი ბრალი სულაც არ არის. რაც შეეხება „დილაში" ჩემს ბურთაობას, იმითაც კმაყოფილი ვარ, ჩემს გვერდიგვერდ ნათამაშევმა ახალგაზრდებმა რაღაცას რომ მიაღწიეს. თარხნიშვილი და რევაზიშვილი უცხოეთში ადრევე წავიდნენ, მერე კაიდარაშვილი. ისინი იზრდებიან, როგორც ფეხბურთელები და არ გამიკვირდება, ერთხელაც სოლიდურ კლუბში მოხვდნენ. იმაზე არაფერს ვამბობ, რომ გორელები საქართველოს თითქმის ყველა კლუბში იყვნენ და არიან მიმოფანტულნი.

**— სხვა გუნდში გადასვლა, ანაც უცხოეთში თამაში არ გიცდია?**

— ეროვნული ჩემპიონატი რომ დაიწყო, 25 წლის ვიყავი. სერიოზულ გუნდებს ამ ასაკის კაცი აბა, რაში დასჭირდებოდათ. საზღვარგარეთ წასვლა კი არც მიცდია. კაცმა შენი ადგილი უნდა იცოდე. ქომაგის ტაში და დაფასება, აი, ფეხბურთელისთვის ყველაზე დიდი ჯილდო. ეს მე „დილაში" არასდროს მკლებია. ამიტომ ვთამაშობდი ფეხბურთს, ამიტომაც ვუერთგულე „დილას". მე ხომ გორელი ვარ.

**— ესე იგი, „დილა" და მარეხაშვილი განუყოფელია.**

— თითქმის. მე რაც შემეძლო, ვფიქრობ, ყველაფერი გავაკეთე გუნდისთვის და გულშემატკივრებისთვის, ასევე „დილამაც" ჩემთვის.

**— 35 წლის ხარ, მაგრამ წონის პრობლემა არ გაწუხებს და დღესაც ბევრ ახალგაზრდას გამჯობინებენ. რას მივაწეროთ ასეთი სტაბილურობა, საგანგებო რეჟიმს თუ ბუნებისგან მომადლებულ ნიჭს?**

— დიდი რეჟიმისტი არასდროს ვყოფილვარ, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით. რა ვიცი, ალბათ გამოცდილება მეხმარება.

**— შენს ახალგაზრდა თანაგუნდელებსაც იგივეს ხომ არ ურჩევდი, ისინიც გამოცდილებას დაელოდონ?**

— ჩემი გზით სიარული მათ არაფერში გამოადგებათ. მოწევა, დალევა სიავის მეტს არაფერს მოუტანთ. იშრომებ, დაგიფასდება, არადა, დღეს ფეხბურთში არაფერი გესაქმება. საერთოდ, 16-17 წლისას უკვე საკუთარი აზრი უნდა გააჩნდეს, იცოდეს, რა უნდა. ყველაფრის ერთად კეთება არ გამოვა. არაერთ სიამტკბილობას უნდა შეელიო. თანამედროვე ფეხბურთი ამას მოითხოვს.

არ მოიქცევიან ასე და ელოდონ, სანამ გორის „დილა", გნებავთ სხვაც, „მანჩესტერ იუნაიტედად" გადაიქცევა.

**— „მანჩესტერად" რატომ?**

— ჩემი ოცნების გუნდია.

**— ესე იგი ინგლისურ ფეხბურთს გულშემატკივრობ.**

— საერთოდ ბრიტანულს. იგრძნობა, კაცები რომ თამაშობენ. ბურთაობენ თითქოს მარტივად, უტევენ უკანმოუხედავად, მაგრამ ამ სიმარტივეში ძალიან რთული აზრებია ჩახლართული.

**— შენი აზრი ეროვნულ ნაკრებზეც გვქნება.**

— რწმენა აკლია ნაკრებს. დამარცხებულის ფსიქოლოგია თრგუნავს. ყველა თავისთვის თამაშობს, არ იგრძნობა გუნდური გარჯა. დისციპლინის დონე დაბალია. მოიკოჭლებს თამაშის ორგანიზაციაც. უამისოდ კი წარმატების მიღწევაზე ფიქრიც ზედმეტია.

**— ამპლუების მიხედვით საუკეთესო ქართველი ფეხბურთელები ჩამოთვალე.**

— მეკარეებში აკაკი დევაძეს ვამჯობინებ ყველას. მცველს ვაჟა თარხნიშვილს დავასახელებდი. ვიცი, ბევრს გაეცინება, მაგრამ მასზე ჭკვიანი და საზრიანი უკანახაზელი ეროვნულ ჩემპიონატში არ შემხვედრია. ნახევარმცველებში თემურ ქეცბაიაა პირველი, ხოლო თავდამსხმელებში შოთა არველაძე.

საერთოდ კი გიორგი ქინქლაძე მგონია საუკეთესო. მას ბევრი, ძალიან ბევრი შეუძლია. მწვრთნელებიდან, ჩემი აზრით გიგა ნორაკიძე იყო უდიდესი.

**— ადრე თუ გვიან ფეხბურთს გამოეთხოვები. უკან რომ მოიხედავ, თვალწინ პირველად რა დაგიდგება.**

— არ ვიცი. ალბათ ჩემი საფეხბურთო ცხოვრება, ისინი, ვისთანაც დიდი ხანი მითამაშია.

**— თამაშს თავს რომ დაანებებ, მერე რას იზამ?**

— მაგაზე არ მიფიქრია. სიმართლე გითხრა, არც ვიცი.

**— „დილაში" მემკვიდრედ ვინ გეგულება, შვიდნომრიან მაისურას ვის გადასცემ?**

— კანდიდატი უკვე შერჩეულია, მაგრამ არ დაგისახელებ. არ მინდა, გაიბღინძოს, თავში აუვარდეს. ისე, ძალიან ნიჭიერი ბიჭია.

**— როგორია ჯიმშერ მარეხაშვილი ფეხბურთს მიღმა?**

— ჩვეულებრივი, ისეთი, როგორიც ყველა. არა, არა, ცოტა თავისთავში ჩაკეტილი და გულჩათხრობილიც. კი, ასეთი ვარ და...

**— ვთქვათ, შემთხვევით შეხვდი შენსავით რეკორდსმენ, მხოლოდ ერთ გუნდში ნათამაშევ უცხოელ ფეხბურთელს, ყოფილ ინტერელ ჯუზეპე ბერგომის. რაზე ისაუბრებდით?**

— რა თქმა უნდა ფეხბურთზე, თუ ერთმანეთს რამე გავაგებინეთ, ისე, ერთიცაა, რა უნდა ვუთხრა მე ბერგომის საინტერესო? გაკვირვებით კი, იცოცხლე, გავაოცებ. ფეხბურთს ვთამაშობ, ბატონო ჯუზეპე, ვეტყვი, ხელფასს არ მიხდიან, არ (ან ვერ) ვვარჯიშობ, ცხელი წყალი სანატრელია, მინდორი არ ვარგა, სტადიონი თავზე გვექცევა და ასე შემდეგ. ამას რომ მოისმენს, არ გაიკვირვებს, აბა, რატომ თამაშობო?!

**— ჟურნალისტებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— ჩვეულებრივი. ხშირადაც არავინ მაწუხებს. ობიექტურ ხალხს ვაფასებ, მატყუარებს ვერ ვიტან. ადრე გაცილებით ინტერესით ვეცნობოდი პრესას, ახლა ცოტა მოიკოჭლებთ, მაგრამ ამაში დამნაშავეები თქვენ არ ხართ. სპორტი არ არის ქვეყანაში და კიდევ კარგად მუშაობთ. თქვენი შრომა ჩვენს გარჯასავით დაუფასებელია დღევანდელ საქართველოში.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ბალაშვილი შეიწყალეს

„ლოკომოტივის" პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ გუშინწინდელი ალმასკომის სხდომა გახარებულმა და კმაყოფილმა დატოვა. რკინიგზელთა თავკაცის ამგვარი განწყობა სავსებით ბუნებრივი და გასაგებიც იყო. ალმასკომმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი „ლოკომოტივის" ფეხბურთელის გიორგი ბალაშვილის შეწყალების საკითხს.

შეგახსენებთ, ბალაშვილი „ლოკომოტივი" — „დინამოს" შარშანდელი სკანდალური მატჩის ერთ-ერთი ანტიგმირი იყო — მან შეხვედრის არბიტრ გურამ ასკაროლლის წიხლი უთავაზა და ამისათვის სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტისგან სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიიღო. მაგრამ ჩვენში ფეხბურთელს ბოლომდე ჯერაც არ მოუხდია სასჯელი და ბუნებრივია, გამონაკლისი არც ბალაშვილი ყოფილა. „ლოკომოტივის" თხოვნას ფეხბურთელის შეწყალების თაობაზე ამას წინათ სტკ-მაც დაუჭირა მხარი, ალმასკომმა კი საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა. ამის შესახებ გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამაც ისაუბრა: „განვიხილეთ ბალაშვილის საკითხი და „ლოკომოტივის" თხოვნას ანგარიში გავუწიეთ. პირველ ყოვლისა გავითვალისწინეთ ის, რომ ეს ფეხბურთელი ეროვნული გუნდის წევრია, ნაკრების საკეთილდღეოდ კი კომპრომისზე წავედით. თანაც, ბალაშვილმა გარკვეულწილად მოიხადა სასჯელი, მან ხომ დღემდე თოთხმეტი შეხვედრა გამოტოვა".

ასე რომ, შესაძლოა გიორგი ბალაშვილი მომდევნო ტურშივე ვიხილოთ რკინიგზელთა შემადგენლობაში „ხობის" წინააღმდეგ, მაგრამ, ერთი რამ საკითხავია, აწი მსაჯების ცემა-ტყეპის ფაქტები რომ მოხშირდეს, მაშინ რას იზამს ფედერაცია?—

**პაატა ქვანტალიანი**


ბაჩანა კილაძის ფოტო

# ბოლნისიონნი სააავადმყოფოში

ვერა და ვერ დააღწია ტრავმებს თავი საქართველოს ჩემპიონატის „ა" ზონის მეექვსეადგილოსანმა, ბოლნისურმა „სიონმა". არ გამართლდა გუნდის მთავარი მწვრთნელის სპარტაკ არჩვაძის მოლოდინი. იგი ჯერ კიდევ „დინამოსთან" მატჩისთვის ვარაუდობდა კაპიტნის — არჩილ შაკიაშვილის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. შაკიაშვილი არც ბოლო ტურის შეხვედრაში, „იბერიას" წინააღმდეგ გამოჩენილა მოედანზე. თუმცა ამას ვინ ჩივის, სამტრედიელებთან ორთაბრძოლის წინ „სიონი" სულაც გამთამაშებლის გარეშე დარჩა (გარკვეულწილად ამანაც განაპირობა ქვემოქართლელთა საშინაო ფრე „იბერიასთან"), მანამდე ტრავმირებულ, მენისკის ოპერაციაგადატანილ დავით სოლოლაშვილს გიორგი მაზანიშვილიც შეუერთდა, რომელმაც მატჩისწინა ვარჯიშზე მუხლი დაიზიანა და სავარაუდოდ ორი კვირით გამოაკლდება ეროვნულ პირველობას. თითქოს არჩვაძეს პრობლემები არ აკლდა, მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს, „იბერიასთან" შეხვედრისთვის „სიონს" არც თავკაცი შერჩა. მთავარ მწვრთნელს სურდო შეეყარა და საერთოდ ვერ შეძლო ბოლნისში ჩასვლა. იმ მატჩის 28-ე წუთზე კი ქვემოქართლელთა ლაზარეთს კიდევ ერთი ფეხბურთელი შეემატა — თემურ დიმიტრიშვილმა მყესი დაიზიანა და ორიოდე კვირით ისიც ვერ ითამაშებს.

**პაატა ქვანტალიანი**

# მხოლოდ თქვენი თამაში

**ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. II წრე**

**მანჩესტერი 2:3 (0:0) რეალი**

0:1 კინი (20 ს.კ.), 0:2, 0:3 რაული (50, 53), 1:3 ბექემი (62), 2:3 სქოულზი (89 პ)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, ბერგი (შერინგემი 63), ირვინი (სილვესტრი 46), ბექემი, კინი, სქოულზი, გიგზი, იორკი, კოული (სოლსკიაერი 63)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, ივან კამპო, კარანკა, რობერტო კარლოსი, მაკმანამანი (ჟულიო სეზარი 90), რედონდო, ელგერა, სავიო (ჯერემი 66), რაული, მორიენტესი (ანელკა 73)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: სქოულზი, რედონდო
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
59 178 მაყურებელი

| | | |
|---|---|---|
| 17 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 8 | ასცდა | 3 |
| 19 | ჯარიმა | 6 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 3 | თამაშგარე | 2 |
| 34 | ბურთის ფლობა (დროში) | 28 |
| 54 | ბურთის ფლობა (%) | 46 |

რა მოხდა ოთხშაბათს „ოლდ ტრეფორდზე"? ჩვენ თუ გვკითხავთ, მოხდა ზუსტად ის, რაც თქვენს ტელევიზორში იხილეთ. ერთი წუთით ნუ იფიქრებთ, რომ ვხუმრობთ, „ოლდ ტრეფორდზე" მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც თქვენ, საკუთრივ თქვენ, თქვენი გემოვნებიდან, სიმპატიებიდან, ანტიპატიებიდან და მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ნახეთ. ობიექტური მხოლოდ ერთია: ჩემპიონთა თასის საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრა „მანჩესტერსა" და „რეალს" შორის ძალიან საინტერესო, დაძაბული გამოდგა და ნახევარფინალში მადრიდელები გავიდნენ. მეტი არაფერი. აქ დამთავრდა. დანარჩენი სუბიექტურია. ინგლისის ჩემპიონის ქომაგმა მატჩი სხვანაირად აღიქვა, „სამეფო გუნდის" ქომაგმა — სხვანაირად; ახალგაზრდამ, საფეხბურთო გემოვნება „იუნაიტედის" დიდების ხანაში რომ ჩამოუყალიბდა, ერთი თქვა, ხოლო ხანდაზმულმა, „რეალის" შვიდივე ევროტრიუმფი რომ ახსოვს, მეორე. მეტიც, ინგლისელმა მატჩი ინგლისურად აღიქვა, ესპანელმა ესპანურად, რუსმა რუსულად, ქართველმა ქართულად და ასე შემდეგ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „რეალის" კართან შექმნილი ორი საპენალტე სიტუაციიდან (ერთი არდანიშნული, მეორე დანიშნული), რომელი როგორ უნდა განსჯილიყო? სწორად შეაფასა კოლინამ? ორივე იყო? არცერთი არ იყო თუ მსაჯს თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ ხელი პირიქით, პირველ ეპიზოდში უნდა გაეშვირა, მეორეში კი არა?

აი, როგორ ჩანდა თამაში „იუნაიტედის" მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის გადასახედიდან: „იმისთვის, რომ „რეალს" შეტევა ეხერხება, მზად ვიყავით, მაგრამ სისტემას თუ შეცვლიდნენ და სამი ცენტრალური მცველით დაგვიპირისპირდებოდნენ, ნამდვილად არ ველოდით. ვალდებული გახლდით, ამ სიახლისთვის ალღო უცბად აგვეღო, მაგრამ ვერ შევძელით. მართალია, პირველი გოლი იღბლის წყალობით გაგვიტანეს, მეორე ტაიმის 15 წუთიანი მონაკვეთი მათი სრული უპირატესობით ჩატარდა და მატჩის ბედი სწორედ ამ მონაკვეთმა გადაწყვიტა. ჩემი ფეხბურთელები გულდაწყვეტილნი არიან, თუმცა არამც და არამც შოკში. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდით. დიდი ძალებით კი ვუტევდით, მაგრამ ამ შეხვედრაში უკეთესმა გაიმარჯვა".

კითხვაზე, ჯერ კიდევ მაშინ, „რეალი" მხოლოდ 1:0-ს რომ იგებდა, მანჩესტერელები ძალიან დაუდევრად ხომ არ იქცეოდნენ, მწვრთნელმა უპასუხა: „ამ თვალსაზრისით ფეხბურთელებთან პრეტენზია არ მაქვს. ყველას კარგად მოგეხსენებათ ჩვენი გუნდის ხასიათი. როცა ვაგებთ, ბევრი გოლის გატანას ვცდილობთ. ეს ხან გაამართლებს, ხან არა".

მადრიდელთა დროებითი მწვრთნელი დელ ბოსკე თავისებურად მსჯელობდა: „ეს ჩემი კარიერის უდიდესი მატჩი გახლდათ (თუ გავითვალისწინებთ, რომ ის, როგორც წესი, კლუბში ადმინისტრაციულ სამსახურში დგას, ამაში არაბუნებრივი არაფერია), მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ „მანჩესტერმა" ჩინებულად ითამაშა. ჩვენი ფეხბურთელები სათითაოდ ქების ღირსნი არიან. როდესაც „იუნაიტედი" ბურთს ფლობს, ადამიანს ყოველთვის [illegible] შეგრძნება გეუფლება, მაგრამ ჩვენ [illegible] ზუსტად ვითამაშეთ. მანჩესტერელთა სასახელოდ კიდევ იმას ვიტყოდი, რომ ბოლო წამამდე ყველაფერი შეიძლებოდა შეცვლილიყო. ჩვენმა გამარჯვებამ კი დაამტკიცა, რომ დღეს ესპანური ფეხბურთი ძალიან მაღალი დონისაა. ვულოცავ „ბარსელონასა" და „ვალენსიას". ჩვენს ქვეყანას ერთი ფინალისტი უკვე ჰყავს. ვნახოთ, შევძლებთ თუ არა ჩვენც იქ მოხვედრას".

მადრიდელთა შორის საგანგებოდ (ნაწილობრივ ასაკის გამოც — 18 წლისაა) მეკარე კასილიასი გამოირჩეოდა. ის გასაოცარი სიმშვიდით იგერიებდა ერთობ ძნელად მოსაგერიებელ დარტყმებს. „არ ვიტყოდი, რომ დღეს მან საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ასე სხვა დროსაც უთამაშია" — შეაქო გოლკიპერი მწვრთნელმა.

საკუთარ კარში გოლის გამტანმა როი კინმა დიპლომატიურად ისაუბრა ანუ დიდი არაფერი უთქვამს: „ბურთის გარეთ გადაგდება მინდოდა და კარში რომ დავინახე, საშინელი გრძნობა დამეუფლა. ჩვენ დიდი წარმატებებიც გვქონია, დღეს კი პირიქით, ცუდი დღე გაგვითენდა. გული დაგვწყდა, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთია ფეხბურთი".

სტივ მაკმანამანი მადრიდელთაგან „ოლდ ტრეფორდზე" ყველაზე ნასტავენი ფეხბურთელი გამოდგა. ბუნებრივიცაა, მან ხომ თვისტომების წინააღმდეგ ითამაშა და დაამარცხა ისინი. „მანჩესტერში რომ ჩამოვედით, აქაური პრესა თავდაჯერებით აცხადებდა, რომ დავმარცხდებოდით. ამიტომაც ბედნიერი ვარ, რომ ტაბელის გადმობრუნება მოვახერხეთ. ვიცოდით, რომ „იუნაიტედი" შეგვიტევდა და ძლიერადაც, შესაბამისად გაიმარჯვებდა ის, ვინც დაცვის ორგანიზაციაში აჯობებდა" — თქვა ინგლისელმა.

რაულმა მასპინძელთა კარში ორი გოლი შეაგდო და მომხდარი ასე აღიქვა: „ახლა შეგვიძლია პარიზში სრულიად ესპანურ ფინალზეც ვიოცნებოთ. „იუნაიტედთან" ორ შეხვედრაში ვგონებ დავამტკიცეთ, რომ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და ღირსეულად გავიმარჯვეთ. ჩემი აზრით, ესპანურ ფეხბურთს სრული უფლება აქვს იამაყოს".



რა ჰქენი, კინო? „მანჩესტერის" კაპიტანმა როი კინმა ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა

# გოლყრა და გულყრა

**ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. II წრე**

**ბაიერნი 2:1 (1:1) პორტუ**

1:0 პაულო სერჟიო (15), 1:1 ჟარდელი (89), 2:1 ლინკე (90)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ანდერსონი, ტარნატი (კუფური 80), ლინკე, იერემისი, ფინკი, შოლი, პაულო სერჟიო, სანტა კრუზი (სალიჰამიჯიჩი 68), ელბერი (იანკერი 90)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
პორტუ: ილარიო, ნელსონი, ესკერდინია, დეკო სოუზა (კლეიტონი 60), ჟორჟე კოშტა, ალოიზიო, პაულინიუ სანტუში, ჩაინიო (რუი ბარუში 43; დომინგუში 78), დრულოვიჩი, ნუნო კაპუჩო, ჟარდელი
მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი
გაფრთხილება: ალოიზიო, დეკო სოუზა, ილარიო, პაულინიუ სანტუში
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
47 000 მაყურებელი

| | | |
|---|---|---|
| 10 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 5 | ასცდა | 7 |
| 14 | ჯარიმა | 16 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 1 | თამაშგარე | 4 |
| 27 | ბურთის ფლობა (დროში) | 29 |
| 47 | ბურთის ფლობა (%) | 53 |

„ბაიერნი" — „პორტუს" პირველი მატჩის ანგარიში „ოლიმპიაშტადიონზე" შემტევ, ესე იგი, საინტერესო თამაშს გვპირდებოდა. მართალია, მასპინძლებს ნახევარფინალში გასასვლელად უგოლო ფრეც აძლევდათ ხელს, მაგრამ იმის იმედად, დაცვაში ჩავდგებით და ევებ მარიო ჟარდელმა ვერ გაგვიტანოსო („ჩელსი" გაიხსენეთ), ვერ იქნებოდნენ. ამიტომ ბავარიელებს ყოველგვარი მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად გოლი სჭირდებოდათ. პორტუელთა ამოცანა უფრო მკაფიოდ იყო განსაზღვრული — ერთხელ მაინც უნდა დაელაშქრათ ოლივერ კანის კარი. თამაშიც ისე წარიმართა, როგორი მიზნებიც გუნდებს ჰქონდათ და ურიგო საქმერი არ გახლდათ. თუმცა ყველაფერი შეფარდებითია: „ბარსელონა" — „ჩელსი" და „მანჩესტერი" — „რეალი" უფრო დრამატული იყო.

პირველმა გოლმა დიდხანს არ დააყოვნა. მიხაელ ტარნატის ჩაწოდებულ ბურთს პაულო სერჟიო დახვდა, დაარტყა და კარში შეაფრინა. ამის შემდეგ გერმანელებმა სცადეს, თამაში სასურველ ტემპში გაეგრძელებინათ, რაც გამოუვიდათ კიდეც. თუმცა პორტუგალიელებმა რამდენიმე უაღრესად სახიფათო შეტევა განახორციელეს. უნდა აღინიშნოს, რომ ბავარიელი მცველები ხშირად სცოდავდნენ. თუნდაც ის მომენტი გავიხსენოთ, როდესაც სტუმრების მიერ საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი ოლივერ კანთან პირდაპირ უმეთვალყურეოდ მიტოვებულ მარიო ჟარდელს მიუვიდა. მაშინ ბაიერნელები მეკარემ იხსნა, მაგრამ რამდენიმე შეცდომა მატჩის მსვლელობისას მანაც დაუშვა.

პორტუელთაგან საპასუხო გოლის გატანის ჩინებული შანსი პაულინიო სანტოსს მიეცა. მისი მარჯვენა ფლანგიდან მახვილი კუთხით დარტყმული ბურთი ოლივერ კანს თავზე გადაევლო და შორეულ ძელს მოხვდა. მიუნხენელმა მეკარემ ბურთს თვალი გააყოლა და მისი მოგერიების სურვილი ერთი ნაბიჯის გადადგმით გამოხატა.

კარგად ითამაშა სტუმართა მეკარე ენრიკე ილარიომ, რომელიც დაშავებულ ვიტორ ბაიას ცვლის. მას რამდენიმე რთული ბურთის მოგერიება მოუხდა, ორჯერ კი ჯოვანი ელბერისა და როკი სანტა კრუზის უაღრესად სახიფათო გარღვევებს ოდნავი სიზუსტე დააკლდა.

მატჩისთვის განკუთვნილი დრო იწურებოდა. ბავარიელი გულშემატკივრები, რომლებიც პაულო სერჟიოს გოლის შემდეგ „ფინალე, ფინალეს" გაიძახოდნენ, უკვე მეოთხე მსაჯს შესცქეროდნენ, ნეტავ, რამდენ წუთს დაამატებსო. მთავარი ამბები კი თურმე ჯერ კიდევ წინ იყო. 90-ე წუთი. პორტუელებმა ბოლო კონტრშეტევა წამოიწყეს. მარცხენა ფლანგიდან მასპინძელთა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთის დასაუფლებლად რამდენიმე ფეხბურთელი ახტა. ყველას მარიო ჟარდელმა აჯობა და თავით კარისკენ დაარტყა. ოლივერ კანის თავგანწირული ნახტომი უშედეგო გამოდგა და 1:1.

არ იქნება, „ბაიერნი" — „მანჩესტერის" შარშანდელი ფინალი არ გაგვახსენდეს, მაგრამ გერმანელები ორჯერ ერთი და იგივე შეცდომის დაშვებას არ აპირებდნენ. 93-ე წუთი. პორტუგალიელები ეიფორიაში იყვნენ. მათ შეუძლებელი შეძლეს და ახლა დამატებით დროს ელოდნენ. მარჯვენა ფლანგიდან მათი კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნა. მეჰმედ შოლმა ბურთი ილარიოს კარის სიახლოვეს ჩაჰკიდა და თომას ლინკემ დაბალი თავურით გამარჯვებისა შეაგდო. გაიხარეს გერმანელებმა, ხოლო ოტმარ ჰიცფელდმა მთელი მატჩის განმავლობაში პირველად გაიღიმა — „ბაიერნი" ნახევარფინალშია! საინტერესო სანახავი იყო VIP ლოჟაში მსხდომთა რეაქციაც. ჟარდელმა ანგარიში რომ გაათანაბრა, ფრანც ბეკენბაუერს სახეზე ნაკვთიც არ შეტოკებია, სამაგიეროდ, ფრაუ ბეკენბაუერმა ჩარგო სახე ხელებში. ლინკეს გოლის შემდეგ კი პირიქით მოხდა — ბავარიელთა პრეზიდენტის მეუღლე გაუნძრევლად იჯდა, ხოლო „კაიზერ ფრანცი" სიხარულით მეცხრე ცაზე იყო.

„იღბალმა ზურგი გვაქცია — თქვა ნამატჩევს პორტუელთა თავკაცმა ფერნანდო სანტოსმა — მიუნხენში მოსაგებად ჩამოვედით და საამისოდ თავი არ დაგვიზოგავს, მაგრამ..."

ოტმარ ჰიცფელდმა კი სტუმართმასპინძლობის ეტიკეტს არ უღალატა და განაცხადა: „მეტოქემ გვარიანად გვანერვიულა. მან დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთს თამაშობს. თუმცა ჩვენც მაგრები ვართ. 90-ე წუთზე გაშვებული გოლის შემდეგ ბევრი გუნდი მორალურად გატყდებოდა — ოღონდ არა „ბაიერნი".

და მთავარი კითხვა, რომელიც ყველას აინტერესებს: ვინ-ვის, „რეალი" თუ „ბაიერნი"? ოტმარ ჰიცფელდი: „ესპანელები ჯგუფში პირწმინდად გავანადგურეთ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. „ოლდ ტრეფორდზე" სამი გოლის გამტანი გუნდისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ამიტომ ბრძოლა თავიდან იწყება".



პორტუელი დეკო (მარჯვნივ) და მიუნხენელი იენს იერემისი: ვინ შესწვდება ბურთს?



ტოტენჰემელმა დავიდ ჟინოლამ (შუაში) თავისიანებს მატჩის მიწურულს მოაგებინა

# ინგლისი

## გადადებული მატჩი

**ლესტერი 0:1 ტოტენჰემი**

0:1 ჟინოლა (89)
ლესტერი: ფლაუერსი, ფ. სინკლერი, ტაგარტი, იზეტი, გაპი (ზაგორაკისი 23), ჯილკრისტი, სევიჯი, იმპი, ოუქსი, მ. ელიოტი, კოტი (მარშალი 81)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ტოტენჰემი: ი. უოქერი, კარი, ტარიკო (იანგი 37), ფროინდი, სოლ კემპბელი, პერი, ანდერტონი, ივერსენი (ეზერინგტონი 73), ჟინოლა, კ. არმსტრონგი (კორსტენი 73), კლემენსი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: პერი, ანდერტონი
მსაჯი: უინტერი
38 594 მაყურებელი

სანამ მთელი ინგლისის ყურადღება მანჩესტერში ჩემპიონთა ლიგის მატჩისკენ იყო მიპყრობილი, ლესტერში პრემიერლიგის ერთი მატჩი გაიმართა. გათამაშების ცხრილის შუაგულში მყოფი ორი გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს.

„ფილბერტ სტრიტზე“ შეკრებილი 20 ათასი ლესტერელი ქომაგი თავისიანების გამარჯვებას ელოდა. ამის საფუძველი „ტოტენჰემის“ ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია გახლდათ, მაგრამ დრო გადიოდა და გოლი არ ჩანდა. ცოდვა გამხელილი ჯობს და სანახაობრივად დიდი ვერაფერი თამაში იყო. ქომაგებს ტელევიზორში „მანჩესტერი“ — „რეალის“ შეხვედრის ცქერა გაცილებით მეტ სიამოვნებას მიანიჭებდათ, თუმცა როდესაც 90 წუთი მიილია და მატჩიც თითქოს ლოგიკური შედეგით უნდა დასრულებულიყო, დევიდ ჟინოლამ გაიბრწყინა. ფრანგმა შეცვლაზე შესული 18 წლის მეტიუ ეზერინგტონის პასით გამარჯვებისა შეაგდო.

ლესტერიდან წალებულმა სამმა ქულამ „ტოტენჰემი“ ძალიან ზემოთ არა, მაგრამ მე-10 ადგილზე კი აიყვანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 33 | 23 | 7 | 3 | 84:39 | 76 |
| ლივერპული | 33 | 19 | 8 | 6 | 51:25 | 65 |
| არსენალი | 32 | 18 | 6 | 8 | 60:32 | 60 |
| ლიდსი | 33 | 19 | 3 | 11 | 49:39 | 60 |
| ჩელსი | 33 | 16 | 10 | 7 | 43:28 | 58 |
| ასტონ ვილა | 34 | 15 | 10 | 9 | 41:29 | 55 |
| სანდერლენდი | 33 | 14 | 9 | 10 | 52:51 | 51 |
| ვესტ ჰემი | 33 | 14 | 9 | 10 | 46:49 | 51 |
| ევერტონი | 34 | 12 | 12 | 10 | 58:45 | 48 |
| ტოტენჰემი | 34 | 13 | 7 | 14 | 50:44 | 46 |
| ლესტერი | 33 | 13 | 6 | 14 | 46:48 | 45 |
| ნიუკასლი | 33 | 12 | 7 | 14 | 53:48 | 43 |
| მიდლსბრო | 33 | 12 | 7 | 14 | 39:48 | 43 |
| ქოვენთრი | 34 | 11 | 8 | 15 | 43:45 | 41 |
| საუთჰემპტონი | 33 | 11 | 7 | 15 | 41:55 | 40 |
| დერბი ქაუნთი | 33 | 8 | 8 | 17 | 37:48 | 32 |
| უიმბლდონი | 34 | 7 | 11 | 16 | 44:65 | 32 |
| უენსდი | 33 | 7 | 6 | 20 | 30:58 | 27 |
| ბრედფორდი | 33 | 6 | 8 | 19 | 29:61 | 26 |
| უოტფორდი | 33 | 5 | 5 | 23 | 2867 | 20 |

# ჰოლანდია

## გადადებული მატჩი

**დენ ბოსხი 1:1 აიაქსი**

1:0 უნეკენი (2), 1:1 კნოპერი (90)
აიაქსი: გრიმი, ვან ჰალსტი, ვინტერი, ვამბერტო, გრონკიაერი, კნოპერი, ნუივენბურგი (იაკუბუ 42), ჩივუ, შ. არველაძე, მოკოენა, ვან დერ ვაარტი
მწვრთნელი: ჰანს ვესტერჰოფი

ოთხშაბათს ჰოლანდიაში ერთი გადადებული შეხვედრა ჩატარდა. „აიაქსი“ „დენ ბოსხს“ ესტუმრა. ამსტერდამელები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან და მათთვის ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჰოლანდიის ჩემპიონატიდან ლიგაში სამი გუნდი გადის. ეჭვს თითქმის არ იწვევს, რომ წლეულს ჩემპიონი პსვ გახდება, პირველობას არავის დაუთმობს და ლიგის საგზურსაც მოიპოვებს. დანარჩენი გუნდები მეორე-მესამე ადგილისთვის იბრძვიან. აქ ვითარება ერთობ გაურკვეველია.

„დენ ბოსხისა“ და „აიაქსის“ შეხვედრა ერთობ პრინციპული გახლდათ. როგორც მოგახსენეთ, ამსტერდამელები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან, „დენ ბოსხს“ კი სრულიად საპირისპირო ამოცანები აქვს, გუნდს პირველ დივიზიონში დარჩენა სურს და მისთვის ყოველი ქულა ოქროდ ფასობს.

სრულიადაც არ იყო გასაკვირი, რომ „დენ ბოსხმა“ „აიაქსს“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და უკვე მეორე წუთზე ანგარიშიც გახსნა. მასპინძლებმა სტანდარტული სიტუაცია გაითამაშეს, ჰარი ვან დერ ლაანმა ჯარიმა ჩააწოდა, მცველმა პეტერ უნეკენმა ზუსტად შეარჩია პოზიცია, ბურთს თავი დაუხვედრა და „აიაქსის“ კარში გადაგზავნა. ორი წუთიც არ გასულა, რომ „დენ ბოსხმა“ კიდევ ერთხელ შეუტია — იმავე ვან დერ ლაანმა სახიფათოდ ჩააწოდა, სედრიქ ვან დერ განს კი ანგარიშის ორამდე გახსნა შეეძლო, მაგრამ ბედმა უმუხთლა და გოლი ვერ გაიტანა.

„აიაქსის“ თავკაც ჰანს ვესტერჰოფს მოსწყინდა „დენ ბოსხის“ შეტევების ყურება და უმალ შეეცადა სიტუაციის გამოსწორებას. მან ყველა სათადარიგო ფეხბურთელს მიუთითა, სარბენ ბილიკებზე ევარჯიშათ და მოედანზე შესასვლელად მომზადებულიყვნენ.

ვესტერჰოფმა ცვლილება გააკეთა, „აიაქსიც“ უკეთ ათამაშდა და „დენ ბოსხი“ თავის კარს მიაჯაჭვა. მასპინძლები ძლივს იგერიებდნენ შეტევებს. სტუმრებმა ზეწოლა განსაკუთრებით მეორე ტაიმის ბოლო წუთებში გააძლიერეს და გამალებით შეუტიეს, თუმცა ხეირიანი არაფერი გამოსდიოდათ.

შეხვედრის ბოლო წუთი დაიწყო და ისე ჩანდა, ამსტერდამელები ქულასაც ვერ წაიღებდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე რიხარდ კნოპერმა იგრძნო, ზუსტი დარტყმით მიხაელ აერსტის კარი დალაშქრა და გუნდი წაგებისგან იხსნა. კნოპერმა მიმდინარე სეზონში მეთოთხმეტედ გამოიჩინა თავი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 30 | 23 | 3 | 4 | 91:22 | 72 |
| ჰერენვენი | 30 | 19 | 3 | 8 | 56:33 | 60 |
| აიაქსი | 30 | 17 | 6 | 7 | 69:44 | 57 |
| ვიტესი | 30 | 16 | 8 | 6 | 61:40 | 56 |
| ფეიენოორდი | 30 | 16 | 8 | 6 | 57:37 | 56 |
| ტვენტე | 30 | 15 | 11 | 4 | 49:30 | 56 |
| ალკმარი | 30 | 16 | 4 | 10 | 62:50 | 52 |
| როდა | 30 | 13 | 7 | 10 | 53:43 | 46 |
| ტილბურგი | 30 | 12 | 7 | 11 | 47:56 | 43 |
| უტრეხტი | 30 | 13 | 3 | 14 | 51:54 | 42 |
| ვალვაიკი | 30 | 11 | 5 | 14 | 39:57 | 38 |
| სპარტა | 30 | 10 | 4 | 16 | 44:62 | 34 |
| გრააფსხაპი | 30 | 8 | 8 | 14 | 35:47 | 32 |
| სიტარდი | 30 | 8 | 7 | 15 | 39:50 | 31 |
| ნაიმეგენი | 30 | 6 | 6 | 18 | 34:56 | 24 |
| მაასტრიხტი | 30 | 5 | 6 | 19 | 35:64 | 21 |
| დენ ბოსხი | 30 | 3 | 9 | 18 | 27:70 | 18 |
| კამბური | 30 | 3 | 7 | 20 | 27:61 | 16 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

# კონკაკაფი

### ცენტრალური ამერიკის ზონა

**A ჯგუფი**

ბელიზი — სალვადორი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალვადორი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| გვატემალა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბელიზი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

*დარჩენილი მატჩები: 7 მაისი; სალვადორი — გვატემალა; 21 მაისი; გვატემალა — ბელიზი*

**B ჯგუფი**

ნიკარაგუა — ჰონდურასი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰონდურასი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| პანამა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ნიკარაგუა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

*დარჩენილი მატჩები: 7 მაისი; ჰონდურასი — პანამა; 21 მაისი პანამა — ნიკარაგუა*

### კარიბეთის ზონა

**II შესარჩევი ეტაპი**

სენტ ვისენტი — სენტ კიტსი 1:0; ანტიგუა — ბერმუდა 0:0; ბარბადოსი — არუბა 4:0; ბაჰამა — ჰაიტი 0:4 (0:9); დომინიკელთა რესპუბლიკა — ტრინიდადი და ტობაგო 0:1 (0:3)

კონკაკაფის ქვეყნებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სამი ადგილი ეკუთვნით, რისთვისაც 35 ნაკრები იბრძვის. რაც შეეხება მათი გამოვლენის სისტემას, ისეთი ჩახლართულია, კაცს თავგზას აუბნევს.

მონაწილეთა თავდაპირველი რაოდენობა უნდა გაიცხრილოს და მათი რაოდენობა თორმეტამდე დავიდეს. მათგან ოთხის ვინაობა უკვე ცნობილია: კოსტა რიკა, იამაიკა, მექსიკა და აშშ. შემდეგ მათ ჯგუფების გამარჯვებულები შეუერთდებიან. ცენტრალური ამერიკის ზონის A ჯგუფიდან ასეთი, სავარაუდოდ, სალვადორი იქნება. B ჯგუფში კი პირველ ადგილს ჰონდურასი და პანამა ეცილებიან ერთმანეთს. კარიბეთის ზონაში რამდენადმე გარკვეული მე-3 ჯგუფის ამბავია. იქ პირველობისთვის ჰაიტი და ტრინიდადი იბრძვიან. მათ შორის გამარჯვებული თორმეტ საუკეთესოთა შორის მოხვდება. ჯგუფებში მეორეადგილოსნებს კი დამატებით გამოცდა ელით. კარიბეთის პირველი ჯგუფის ფინალისტი პლეი ოფში კანადას გადაეყრება, ხოლო დანარჩენები ერთმანეთში (ასევე პლეი ოფის სისტემა) გაიყოფენ ორ დარჩენილ საგზურს.

არანაკლებ რთული სისტემით ითამაშებს თორმეტი საუკეთესოც, თუმცა ჯერ მათი ვინაობა გავიგოთ...

# უნგრეთი

26-ე ტური: შიოფოკი — ტატაბანია 1:3; პეჩი — მტკ 0:1; ფერენცვაროში — უიპეშტი 0:0; ჰალადაში — ნიირშეგი 1:1; დიორ ეტო — ნადიკანიჟა 4:0; ზალაეგერსეგი — ვაცი 1:2; ვაშაში — დუნაფერი 0:2; ჰონვედი — დებრეცენი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 25 | 17 | 7 | 1 | 55:20 | 58 |
| მტკ | 25 | 14 | 8 | 3 | 47:19 | 50 |
| ვაშაში | 25 | 15 | 4 | 6 | 47:22 | 49 |
| ტატაბანია | 26 | 11 | 10 | 5 | 2829 | 43 |
| დებრეცენი | 26 | 11 | 7 | 8 | 37:31 | 40 |
| ფერენცვაროში | 26 | 10 | 8 | 8 | 45:31 | 38 |
| უიპეშტი | 26 | 10 | 8 | 8 | 44:33 | 38 |
| ნიირშეგი | 25 | 10 | 6 | 9 | 29:34 | 36 |
| ზალაეგერსეგი | 25 | 8 | 11 | 6 | 2819 | 35 |
| დიორ ეტო | 25 | 9 | 7 | 9 | 40:26 | 34 |
| ჰონვედი | 26 | 9 | 6 | 11 | 25:33 | 33 |
| პეჩი | 25 | 7 | 10 | 8 | 2839 | 31 |
| ნადიკანიჟა | 26 | 5 | 8 | 13 | 20:37 | 23 |
| ჰალადაში | 25 | 6 | 4 | 15 | 26:43 | 22 |
| დიოშდიორი | 25 | 5 | 6 | 14 | 22:44 | 21 |
| შიოფოკი | 26 | 6 | 5 | 15 | 21:43 | 20 |
| ვაცი | 25 | 3 | 5 | 17 | 22:61 | 14 |

*„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

# ლიტვა

მე-5 ტური: ჟალგირისი — ეკრანასი 1:0; კაუნასი — ინკარასი 0:0; ბანგა — დაინავა 1:0; ნევეჟისი — პოლონია 0:0; ატლანტასი — კარედა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:1 | 13 |
| კაუნასი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:0 | 9 |
| ატლანტასი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| კარედა | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| დაინავა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ნევეჟისი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:7 | 6 |
| ეკრანასი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| პოლონია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:9 | 5 |
| ინკარასი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:7 | 2 |
| ბანგა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | 1 |

# ამხანაგური მატჩები

26 აპრილი

**ჩეხეთი — ისრაელი**

*ჩეხეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: რადეკ ჩერნი (სლავია), ლადისლავ მაიერი (რაპიდი, ავსტრია), პაველ სრნიჩეკი (შეფილდ უენსდი, ინგლისი);*

*მცველები: მილან ფუკალი, პეტრ გაბრიელი (ორივე სპარტა), კარელ რადა, პეტრ ვლჩეკი (ორივე სლავია), ტომაშ რეპკა (ფიორენტინა, იტალია), იან სუხოპარეკი (ბერლინი, გერმანია);*

*ნახევარმცველები: მიროსლავ ბარანეკი, ტომაშ როსიცკი (ორივე სპარტა), რადეკ ბეიბლი (ატლეტიკო, ესპანეთი), პაველ ჰორვატი, ივო ულიხი (ორივე სლავია), რადეკ ლატალი, ირჟი ნემეცი (ორივე შალკე, გერმანია), პაველ ნედვედი (ლაციო, იტალია), კარელ პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია);*

*თავდამსხმელები: იან კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), პაველ კუკა (შტუტგარტი, გერმანია), ვრატისლავ ლოკვენცი (სპარტა), რენე ვაგნერი (რაპიდი, ავსტრია)*

**რუმინეთი — კვიპროსი**

*რუმინეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (აიაქსი, ჰოლანდია);*

*მცველები: კოსმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), გეორგე პოპესკუ (გალათასარაი, თურქეთი), ლივიუ ჩებოტარიუ (სტანდარდი, ბელგია), იულიან ფილიპესკუ (სევილია, ესპანეთი), სტეფან ნანუ (ვიტესი, ჰოლანდია), კრისტიან ჩივუ (აიაქსი, ჰოლანდია);*

*ნახევარმცველები: დან პეტრესკუ (ჩელსი, ინგლისი), ოვიდიუ საბაუ (რაპიდი), კონსტანტინ გალკა (ესპანიოლი, ესპანეთი), კატალინ ჰილდანი (დინამო), ერიკ ლინკარი (სტიაუა), დორინელ მუნტეანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), გეორგე ჰაჯი (გალათასარაი, თურქეთი);*

*თავდამსხმელები: ფლორენტინ პეტრე (დინამო), იონელ განეა (შტუტგარტი, გერმანია), ვიორელ მოლდოვანი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ადრიან მუტუ (ინტერი, იტალია)*

**გერმანია — შვეიცარია**

*გერმანიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (ბორუსია, დორტმუნდი);*

*მცველები: მარკუს ბაბელი, თომას ლინკე (ორივე ბაიერნი), ლოთარ მათეუსი (ნიუ იორკ ნიუ ჯერსი მეტროსტარზი, აშშ), მარკო რემერი (ჰერტა), კრისტიან ვიორნსი (ბორუსია, დორტმუნდი);*

*ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი, შტეფან ბაინლიხი, კარსტენ რამელო (ყველა ბაიერი, ლევერკუზენი), დიტმარ ჰამანი (ლივერპული, ინგლისი), მეჰმეთ შოლი (ბაიერნი), დარიუს ვოში (ჰერტა), კრისტიან ციგე (მიდლსბრო, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), მარკო ბოდე (ვერდერი), ულფ კირსტენი, ოლივერ ნოივილი, პაულო რინკი (ყველა ბაიერი, ლევერკუზენი), მიხაელ პრეეცი (ჰერტა)*

26 აპრილი ევროპაში ამხანაგური მატჩების დღეა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გერმანულ ქალაქ კაიზერსლაუტერნში შედგება — გერმანელები მეზობელ შვეიცარიელებს დაუპირისპირდებიან.

მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი ამ მატჩს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. „ეს შეხვედრა ბევრ რამეს გადაწყვეტს. ვინც შვეიცარიასთან თავს გამოიჩენს, ამ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატზეც ითამაშებს“ — აღნიშნა მან, თუმც არც ის დამალა, რომ შესაძლებელია უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გამოსცადოს.

ბოლო საკონტროლო მატჩი გერმანელებმა სტუმრად ხორვატებთან გამართეს (1:1). იმ შეხვედრაში რიბეკს მარკუს ბაბელი, მეჰმეთ შოლი, მიხაელ პრეეცი და მარკო ბოდე არ ჰყოლია. მწვრთნელმა ამჯერად ოთხივე მათგანი გამოიძახა. ეტყობა, ეს იმის ბრალიცაა, რომ რიბეკი ხორვატიასთან თავისი გუნდის თამაშით ნასიამოვნები არ დარჩენილა. „ასე თუ გავაგრძელეთ, ბელგია-ჰოლანდიაში ამ ზაფხულს შორს ვერ გავფრინდებით“ — ამბობს იგი. ვნახოთ, რას იტყვის ოთხშაბათის მატჩის შემდეგ.




გერმანიის საფეხბურთო კავშირის საუკოვან იუბილეს გერმანიისა და შვეიცარიის ნაკრებები ამხანაგურ მატჩს უძღვნიან. შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცა და გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი კაიზერსლაუტერნის „ბეცენბერგის“ სტადიონზე გასამართი ამ თამაშის აფიშას წარმოადგენენ

# რა რივალდო, რის რივალდო?

იტალიელებმა „გაძეტა დელო სპორტი" გადაშალეს და სენსაციური ცნობა წაიკითხეს: მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი რივალდო რომის „ლაციომ" შეიძინა და მასში 99 მილიარდი ლირა (48 მილიონი დოლარი) გადაიხადაო. იქვე რომაელთა პრეზიდენტ სერჯიო კრანიოტის ნათქვამიც იყო დაბეჭდილი: „შესაძლოა, „ბარსელონამ" ეს ინფორმაცია უარყოს, მაგრამ გარწმუნებთ, გარიგება უკვე შედგა".

იმავე სტატიაში ისიც ეწერა, რომ „ლაციოს" ფინანსურად ძლიერ უჭირს და სალაროს შესავსებად ალან ბოკშიჩის, მარსელო სალასის, მატიას ალმეიდას და დეიან სტანკოვიჩის გაყიდვას აპირებს. რივალდოს შესახებ ინფორმაციას ასე ასაბუთებდნენ: ბრაზილიელს ლუის ვან გაალთან პატარ-პატარა უსიამოვნებები აქვს და „ბარსელონას" დატოვებას ამიტომაც აპირებს, ამასთანავე მწვრთნელსაც გული აეყარა მასზეო. „გაძეტა დელო სპორტის" ეს ნომერი სამშაბათს გამოვიდა.

მკითხველებს რა უნდა ექნათ? ცოტა ეჭვი კი შეეპარათ, მაგრამ დაიჯერეს (მით უმეტეს, პირველი აპრილი ოცი დღის წინ იყო). გუშინ კი, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, „ლაციომ" გავრცელებული ინფორმაცია უარყო. არც სერჯიო კრანიოტის და არც ვინმე სხვას ბარსელონელებთან ამ თემაზე არ უსაუბრიაო — განაცხადა კლუბის პრესმდივანმა.

საფეხბურთო ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. ისე, საინტერესო კია, საიდან გაჩნდა ამ მეტად ავტორიტეტულ გაზეთში ასეთი ინფორმაცია.

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიელმა** ბიზნესმენმა „ტორინოს" აქციათა პაკეტის 98,55 პროცენტი 17,2 მილიონ დოლარად იყიდა. „გუნდის აქციათა საკონტროლო პაკეტი ახალი მფლობელის ხელშია" — განაცხადა „ტორინოს" პრესატაშემ. კომპანიას SIS-ი ჰქვია და მას ფრანკო ჩიმინელი ხელმძღვანელობს. ახალ მფლობელს გადაუწყვეტია, გუნდის ძველი სტადიონი „ფილადელფია" განაახლოს. „ტორინო" იტალიაში ერთ-ერთი ტიტულიანი კლუბია. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში (1946-1949) მან ოთხჯერ მოიგო სკუდეტო, ხოლო 1947-48 წლების სეზონში ერთგვარი რეკორდი დაამყარა — ჩემპიონობა მოიპოვა, უახლოეს მდევარს 16 ქულით აჯობა და სეზონის განმავლობაში 125 გული გაიტანა. ალსანიშნავია, რომ „ტორინომ" ერთ-ერთ ტურში მეტოქე 10:0 დაამარცხა. 1949 წელს გუნდს ტრაგედია შეემთხვა — ავიაკატასტროფაში მოჰყვა. „ტორინომ" ჩემპიონის ტიტულით 1976 წელს დაიბრუნა, ზუსტად ოცი წლის შემდეგ კი კრიზისი დაეწყო და სერია B-ში დაქვეითდა. წლეულს ტურინული გუნდი კვლავ პირველ დივიზიონში ასპარეზობს, თუმცა არცთუ სახარბიელოდ და სერია A-დან გავარდნა ისევ ემუქრება.

**რუმინულ ქალაქ კონსტანცას სტადიონ „ფარულს" უახლოეს მომავალში გეორგე ჰაჯის სახელს დაარქმევენ, ამის შესახებ ქვეყნის სპორტის მინისტრმა განაცხადა. მომავალ კვირას რუმინეთი და კვიპროსი ამხანაგურ შეხვედრას სწორედ ამ შავიზღვისპირა საპორტო ქალაქში ჩაატარებენ. ჰაჯი წარმოშობით კონსტანციდანაა და ფეხბურთის თამაშიც „ფარულში" დაიწყო. რუმინეთის სპორტის მაღალჩინოსნებმა გადაწყვიტეს, დააფასონ ქვეყნის საუკუნის ფეხბურთელი და მისი მშობლიური ქალაქის სტადიონს „გეორგე ჰაჯი" უწოდონ. სიტყვამ მოიტანა და, ამ შეხვედრაში თავისი ქვეყნის ნაკრებს ფორვარდი ადრიან ილიე ვერ დაეხმარება. „ვალენსიას" ფეხბურთელმა ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა ტრავმა. „იმედი თითქმის არ გვაქვს, რომ ილიე ერთ კვირაში გამოჯანმრთელდება, მას კუნთი დაეჭიმა და უკვე კარგა ხანია, ვერ თამაშობს" — განაცხადა რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა ემერიხ ენეიმ.**

**ესპანური** მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელს ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ თავიდან სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, თუმცა კლუბის აპელაციის შემდეგ სასჯელი ორ მატჩამდე შეუმცირა. პრიმერადივიზიონის ბომბარდირი ბოლო ტურში „მალაგასთან" შეხვედრაში გააძევეს მინდვრიდან მეტოქესთან უხეშობისთვის. მადრიდული კლუბი ამჟამად კრიზისს განიცდის და პირველი დივიზიონის დატოვება ემუქრება. ჰასელბაინკი, რომელმაც მიმდინარე სეზონში უკვე 23 გოლი გაიტანა, გუნდს მომავალ ტურებში ერთობ დააკლდება.

**ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ტოტენჰემის" მცველ სოლ კემპბელის შეძენა მოისურვა, თუმცა თანხა ერთობ ეძვირა — ლონდონელები 26,9 მილიონ დოლარს ითხოვენ. „მანჩესტერს" მართლაც უნდა კემპბელის ყიდვა — განაცხადა „ტოტენჰემის" დირექტორმა დევიდ პლატმა — ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, სოლი შევინარჩუნოთ, კონტრაქტის გახანგრძლივებაც გვსურდა, თუმცა შეთანხმება გაგვიჭიანურდა". ცენტრალურ მცველს „ტოტენჰემთან" ხელშეკრულება მომავალი სეზონის ბოლოს უმთავრდება, თუმცა არ არის გამორიცხული, „ოლდ ტრეფორდზე" ამ ზაფხულს გადაბარგდეს.**

**ინგლისელმა** ნახევარმცველმა ჯო კოულმა შაბათს, „დერბის" წინააღმდეგ პრემიერლიგის მორიგი ტურის მატჩში ტრავმა მიიღო და სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. 18 წლის ყმაწვილს მომავალ ევროპის ჩემპიონატზე თამაშსაც უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა ბელგია-ჰოლანდიაში გამგზავრებას იგი ალბათ ველარ შეძლებს. „ვესტ ჰემის" ფეხბურთელს უახლოეს დღეებში ძვლის მეორად გამოკვლევას ჩაუტარებენ და ტრავმის სირთულეს საბოლოოდ დაუდგენენ.

**ბელგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რობერტ ვესეიგმა მიმდინარე კონტრაქტი გაახანგრძლივა და გუნდს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე უხელმძღვანელებს. 60 წლის ვესეიგი ბელგიის ნაკრებში წარმატებულად მივიდა და, როგორც იქაური პრესა აღნიშნავს, ამ სპეციალისტმა გუნდს რწმენა შეჰმატა. ნაკრებმა ბოლო 6 შეხვედრაში 16 გოლი გაიტანა, მოუგო იტალიასა და მაროკოს, ორჯერ ფრედ ითამაშა ჰოლანდიასთან და ერთხელ პორტუგალიასთან, მხოლოდ ერთი მატჩი წააგო სტუმრად ინგლისთან.**

**ისრაელი.** 33-ე ტური: ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ჰაიფა) 0:4; აშდოდი — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:0; ბეითარი — ჰაპოელი (იერუსალიმი) 1:1; მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) — ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) 2:4; მაკაბი (თელ ავივი) — მაკაბი (ნეთანია) 2:1; ირონი — მაკაბი (ჰერცლია) 0:1; ჰაპოელი (ქვარ სავა) — ბნეი იეჰუდა 1:1. ჩემპიონატს 71 ქულით თელ ავივის „ჰაპოელი" ლიდერობს, მეორე ადგილზეა ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი" — 69 ქულა, მესამეა ჰაიფას „მაკაბი" — 68 ქულა.

**სლოვენია. 27-ე ტური: ცელიე — დომზალე 0:0; მურა — დრავოგრადი 2:3; ნოვა გორიცა — ოლიმპია 3:0; პრევალიე — აიდოვშინა 0:1; მარიბორი — რუსე 3:1;ველენიე — ბელტინჩი 2:0. ჩემპიონატს 65 ქულით „მარიბორი" ლიდერობს, მეორეა „ნოვა გორიცა" — 53 ქულა, მესამეა „ველენიე" — 51 ქულა.**

# ტიკტორაში ნუ ჩამდებთ

## ჯორჯ ბესტი ახალ ცხოვრებას იწყებს




„საკვირველია, როგორ გამიძლო ამდენ ხანს?"
ჯორჯ ბესტი მეუღლე ალექსთან ერთად

რა ბევრი 53 წელია, ის კი საკუთარ ეზოშიც ძლივს დალასლასებს. სახეზე უსიამოვნო, ავადმყოფური სიყვითლე გადაჰკრავს, შარვალიც ლამისაა ჩაძვრეს და მეუღლის მხარს ჩამოყრდნობილი დადის. ის ჯორჯ ბესტია — ბრიტანელთა აზრით, კუნძულის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი.

ახლაც ცდილობს, ბურთი ააგდოს და ერთი-ორჯერ აკენწლოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. არ ბრაზობს, პირიქით — იმას აკეთებს, რასაც მთელი ცხოვრება — ღადაობს: ცოტა წონაში დავიკელი, თუმცა ახლა ზუსტად ჩემი სათამაშო წონა მაქვს, თანაც სხვა მოხუცებზე უკეთ გამოვიყურები.

ხუთი კვირის წინ გაუწყეთ — ლეგენდარული ბესტი საავადმყოფოში მოხვდაო. ჰოდა, გავიდა ეს ხუთი კვირა, ბესტმა სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა და პირველი ინტერვიუც ბრიტანეთში ყველაზე პოპულარულ გაზეთ „ნიუს ოფ ზი უორლდს" მისცა.

„ფეხბურთს რომ თავი დავანებე, მისი შემცვლელის ძებნას მივყავი ხელი. ვეძიე და ვპოვე — სმა. ახლა ვხვდები, რომ ბურთაობის საუკეთესო შემცვლელი სიცოცხლეა. სიკვდილს თვალებში ჩავხედე და დამიჯერეთ, ეს ასეა".

მარტის დამდეგს ბესტი საკუთარი ფეხით მივიდა ლონდონის „კრომველ ჰოსპიტალში". არადა, „მთელი ცხოვრება ვმალავდი ჩემს ავადმყოფობას. ჩემი ექიმი სასმელი იყო — ტკივილს მიყუჩებდა, თუმცა ჯანმრთელობასაც რომ მინადგურებდა, ესეც ვიცოდი. ერთმა უცნაურმა ღამემ მიხსნა. მუცელი ამტკივდა და, არაფერმა რომ არ მიშველა, მეუღლემ სასწრაფო გამოიძახა. აი, მაშინ მოვხვდი პირველად ექიმთა ხელში".

მერე იყო კვლავ ლოთობა. გადაბმული და ორთვიანი. განსაკუთრებით თეთრ ღვინოს ეტანებოდა. 27 თებერვალს ნათესავის დღეობაზე გახლდათ ტაილანდურ რესტორანში და...

პროფესორი როჯერ უილიამსი ამბობს: საავადმყოფოში განადგურებული იერით და ღვიძლის ქრონიკული დაავადებით მოვიდა. პირველივე ანალიზმა ცხადყო, რომ ჯორჯის საქმე ცუდად იყო. მაშინვე ვუთხარი, ამიერიდან წვეთიც რომ დალიო, მოკვდები-მეთქი. ხელწერილიც კი დავაწერინე, რომ საქმის კურსში იყო და აწი თავად აგებდა პასუხს. კიდევ კარგი, მაგარი ორგანიზმი ჰქონია და აქამდე გაძლო. სმისგან საშინლად ჰქონდა გადიდებული ღვიძლი, რომელიც თავისი ფუნქციის 80 პროცენტს ველარ ასრულებდა. სისხლის მიმოქცევაც დარღვეული ჰქონდა. მოკლედ, თუ ლოთობა გააგრძელა, ორიოდ კვირაში მოკვდება.

„მართალია, ხელწერილი დამადებინეს — აღიარებს ბესტი — თუმცა ალბათ ეს ზედმეტი იყო. ისედაც მივხვდი, რომ ჩემი საქმე ჭაკად იყო, თუმცა არ შემშინებია. ძალა მოვიკრიბე, როგორც მამაჩემმა, 80 წლის დიკმა მირჩია, და ახალი ცხოვრებისთვის მოვემზადე. ლოცვაც კი დავიწყე, თუმც რელიგიური არ გახლავართ. არა, იქ ზემოთ რომ ვილაცაა, მაგის მჯერა".

ჰოსპიტალში ბესტის სახელზე 3 ათასამდე წერილი მივიდა. ერთი გულშემატკივარი მთლად საკუთარ ღვიძლს სთავაზობდა გადასანერგად, ერთმა პენსიონერმა კი კონვერტში ჩეკიც ჩადო — ავად ვარ, ვერ გინახულებ და ჩემ სახელზე ტკბილეულობა იყიდეო.

„არა მგონია, 3 ათასი წერილი იმ კაცმა მიიღოს, ვისაც მხოლოდ ლოთობით გაუთქვია სახელი. ჩემი ოცნებაც ესაა — როცა მოვკვდები, ხალხმა დიდ ფეხბურთელად მომიგონოს და არა ცნობილ ლოთად" — ამბობს ბესტი და თან მადიანად შეექცევა: „სანამ ვსვამდი, საჭმელი არც მინდოდა. ახლა კი მადა გამეხსნა. ჰოსპიტლის სადილსაც კი შევექცეოდი. აი, გუშინ ლორი, კვერცხი და შემწვარი კარტოფილი მივირთვი, დღეს თევზი, ხვალ კი როსტბიფის გაკეთებას ვაპირებ, ოღონდ პირველად ცხოვრებაში ულვინოდ მივირთმევ".

კი მაგრამ, მაინც რატომ სვამდით ამდენს — ეკითხება ჟურნალისტი. „ეჰ, ეგეთ რთულ კითხვებზე რომ შემეძლოს პასუხის გაცემა, რაღა მიჭირდა. მაგას სჯობს, ჩემს მომავალ გეგმებზე გითხრათ. ზაფხულში პორტუგალიაში, კორფუში დასვენებას ვაპირებთ. იქ მე და ჩემს მეუღლეს ერთი მყუდრო სახლი გვაქვს — არც ტელევიზორია და არც ტელეფონი. სამაგიეროდ, ბლომად წიგნები გვაქვს და კიდევ... ღვინოების დიდი კოლექცია. არა, ნუ შეშინდებით — აწი ცივ ჩაის დავლევ იმდენს, რასაც ადრე ღვინოს" — გვამშვიდებს ბესტი და მეექვსე ფინჯან ჩაის სცლის.

ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი? „ეგ ფეხბურთს რომ თავი დავანებე, მერე შევაგდე" — ხითხითებს ჩრდილოირლანდიელი — „ეგ ჩემი შვილია. თუ საქმე კარგად აეწყო, კიდევ ორის გატანას ვაპირებ. ჩემი მეუღლე, ალექსი, ჩინებული ადამიანი. საკვირველია, როგორ გამიძლო ამდენ ხანს? აწი აღარ გაუჭირდება".

და კიდევ: „იმაზე ვწუხვარ, საათის უკან ტრიალი რომ არ შეიძლება. ასე რომ იყოს, ათჯერ უფრო მაგარი ფეხბურთელი ვიქნებოდი. თუმცა მაინც ვიმედოვნებ, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემს ლოთობაზე არავინ ილაპარაკებს. კარგი ფეხბურთელი იყოო, იტყვიან".

# თექვსმეტი სუპერგუნდი

**ესპანური** სატელეკომუნიკაციო გიგანტი „ტელეფონიკა" აპირებს უხელმძღვანელოს ევროპის სუპერლიგის პროექტს, რომელიც თავისი არსით ჩემპიონთა ლიგის ამჟამინდელ ფორმატს შეცვლის. ბევრი კონტინენტის 16 წამყვანი კლუბი, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედი", მიუნხენის „ბაიერნი" და მადრიდის „რეალი" სამომავლოდ ალბათ ევროპის სუპერლიგაში გაერთიანდებიან. ჩემპიონატი დახურული სისტემით ჩატარდება. ჯგუფიდან გუნდები არც გავარდებიან და არც დაემატებიან. ტურნირი ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მაგვარი სისტემით ჩატარდება.

— „ტელეფონიკა" სუპერლიგის პროექტით დაინტერესდა. ლიგას სამომავლოდ დიდი პერსპექტივა აქვს — იუწყებიან ორგანიზატორები. საკომუნიკაციო გიგანტი ამ საქმეში უდიდესი ინვესტიციის ჩადებას აპირებს, რათა შექმნას სრული მატერიალური ბაზა პროექტის უმაღლეს დონეზე მოსამზადებლად. „ტელეფონიკას" მოღვაწეობის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, მაქსიმალურად დაიხვეწება საინფორმაციო უზრუნველყოფა, გამოიყენებენ ულტრათანამედროვე ტექნიკურ სისტემებსა და ინტერნეტს.

სუპერლიგის პროექტი ჯერჯერობით ნაადრევ სტადიაშია, თუმცა დაინტერესება უკვე დიდია. წამყვანი ევროპული კლუბები გამოთქვამენ სურვილს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ლიგის შექმნასა და განვითარებაში.

ორგანიზატორთა ჯგუფი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა სფეროს გიგანტ ფირმებთან და თავად უეფასთან.

— ჩვენ ალბათ არავის დავიმატებთ — იუწყება „ტელეფონიკა" — შეჯიბრების პროექტი საგანგებოდ 16 გუნდისთვის მომზადდა, სეზონში 30 თამაში სრულიად საკმარისია. მაქსიმალურად ვცდილობთ, უეფამ იდეის განხორციელებაში მხარი დაგვიჭიროს.

ევროპული ფეხბურთის მმართველი თავის მხრივ ფიფასაც დაუკავშირდა, რათა ერთობლივი ძალებით სრულყონ პროექტი.

სუპერლიგის დაფუძნების შარშანდელი მცდელობა არცთუ წარმატებით დასრულდა. უეფამ ძირითადი აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე გადაიტანა და სხვა პროექტებისთვის სათანადოდ ვერ მოიცალა. როგორც გახსოვთ, წლეულს ლიგაში გუნდთა რიცხვი 32-მდე გაიზარდა.

ესპანური პრესა იმ კლუბებსაც ასახელებს, რომლებიც ევროლიგის შესაძლო მონაწილეებად ითვლებიან — გერმანიას ბოლო პერიოდის სამი საუკეთესო კლუბი — მიუნხენის „ბაიერნი", „ლევერკუზენი" და დორტმუნდის „ბორუსია" წარადგენს, ესპანეთიდან მადრიდის „რეალს" და „ბარსელონას", ალბათ, ვერავინ შეეცილება. ინგლისს, გერმანიის მსგავსად, სამი გუნდის გაყვანის უფლება ერგო — „მანჩესტერ იუნაიტედის", ლონდონის „არსენალის" და „ლივერპულის", სამი ელჩი ეყოლება. იტალიასაც — „იუვენტუსი", მილანის „ინტერი" და „მილანი", ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან და პორტუგალიიდან სუპერლიგაში თითო-თითო გუნდი იასპარეზებს. ესენი შესაბამისად — ამსტერდამის „აიაქსი", პსჟ და „პორტუ" იქნებიან.

ზემო მხოლოდ 14 გუნდი ვახსენეთ, სულ კი 16 უნდა იყოს, დარჩენილი ორი გუნდის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა კანდიდატები ერთობ მრავლად არიან.

ესპანური გაზეთის „ელ პაისის" ცნობით, თითოეული გუნდი პროექტში მონაწილეობისთვის, სულ მცირე, 34 მილიონ დოლარს მიიღებს.

ნიკა შუგლაძე



ევგენი კაფელნიკოვი

# თიხნარის ხაფანგი

მასტერსის სერია — მონტე კარლო. მონაკო. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

მონტე კარლოს ღია პირველობა უკვე მერვედფინალისთვის ვარსკვლავების გარეშე დარჩა — თექვსმეტი განთესილიდან ამ ეტაპზე მხოლოდ სამმა გააღწია.

ევგენი კაფელნიკოვისთვის (1) სათიხნარო სეზონის ცუდად დაწყებაში ახალი არაფერია: ბოლო სამი წლის მანძილზე მიწის ევროპულ ტურნირებს იგი, როგორც მინიმუმ, ზედიზედ ოთხი მარცხით ხვდებოდა.

ამ მხრივ სოჭელმა ჟენიამ წლეულს ცოტა უკეთეს შედეგს მიაღწია — დევისის თასსა და ემტორილის ღია პირველობაზე სამი წაგების შემდეგ მონტე კარლოში ყოფილი მეწყვილე დანიელ ვაცეკი დაამარცხა: „ჰარდის კორტებიდან ასეთ ნელ საფარზე გადმობარგება ყოველთვის მიჭირდა. აქ თუ 100 პროცენტით არ ხარ მზად, წარმატებაზე არც კი უნდა იოცნებო, მოთიხნარე ესპანელები თვალის დახამხამებაში გაგანადგურებენ".

მეორე წრეში სლოვაკ დომინიკ ჰრბატისთან შეხვედრაში კაფელნიკოვმა ძალიან მოინდომა. მეორე სეტში 3:5 ჩამორჩენისა და წაგების პირას აღმოჩენის შემდეგ რუსმა ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო და გადამწყვეტ ხელში უკვე თავად დაწინაურდა — 3:1.

თუმცა, როგორც ხშირად ხდება, სტაბილურად ჩატარებულ მატჩის მონაკვეთს კაფელნიკოვმა აურაცხელი უნებლიე შეცდომა მიაყოლა, მეტოქეს გონს მოსვლაში თავად დაეხმარა და საბოლოოდ 3:6, 7:5, 4:6 წააგო.

„მიყვარს კაფელნიკოვთან თამაში. ის არც ძალიან მძლავრად ურტყამს ბურთს და არც ძალიან ნელა, მასთან ბევრი ფიქრი და ტვინის ჭყლეტა არ მჭირდება — განაცხადა მოგვიანებით ჰრბატიმ, რომელიც პირად შეხვედრებში რუსს 4:1-ს უგებს — კარგი იქნებოდა, მას ყოველ ტურნირზე ვხვდებოდე".

სლოვაკის ნათქვამმა მსოფლიოს მესამე ჩოგანი ერთობ გაამწარა: „რაც უნდა, ის ილაპარაკოს, როცა საუკეთესო ფორმაში ვარ, ჩემთან თამაში არავის უნდა. მაცალეთ ორი-სამი კვირა, თიხნარს შევეჩვევი და მერე მაგ ნათქვამს ვანანებ".

კაფელნიკოვი ახლა რამდენიმე დღით დასვენებას და ფიზიკურად უკეთ მომზადებას აპირებს: „თავადაც ნახავთ, როლან გაროსზე სულ სხვანაირად ვითამაშებ. თიხნარზე, ჰარდისგან განსხვავებით, მხოლოდ მეტოქის დარტყმის სიჩქარის გამოყენება არ არის საკმარისი, თავად უნდა შეუტიო. სწორედ ეს მიჭირს ყველაზე მეტად".

**მეორე წრე:** **ქარიმ ალამი** (მაროკო) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 6:3, 3:6, 6:1; **რიჩარდ კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — ტომას ენკვისტი (6, შვედეთი) 7:5, 6:1; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (7, ინგლისი) 6:2, 4:6, 6:3; **სედრიკ პიოლინი** (8, საფრანგეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:4, 6:3; **ალექს კორეტხა** (9, ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:0, 6:4; **ალბერტ კოსტა** (12, ესპანეთი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 2:6, 6:4, 6:2; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — მარიანო ზაბალეტა (15, არგენტინა) 6:7 (3:7), 6:0, 7:5; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 7:6 (7:1), 6:4; **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:1; **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:0, 6:3.

# როცა კატები ყეფენ

**მიუხედავად** იმისა, რომ ჩოგბურთელების უმეტესობას პოლიტიკაში ინჩი ბინჩი არ გაეგება, ამ ბოლო ხანებში ზოგიერთი მათგანი თამაშზე მეტად სწორედ ამ ერთ-ერთი უძველესი პროფესიის საქმეებში ჩარევით ხვდება ყურადღების ცენტრში.

თუ უფრო დავკონკრეტდებით, ორი ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე ფერადკანიანი დიაცი — სერენა უილიამსი და ალექსანდრა სტივენსონი ვიგულისხმეთ, რომელთაც პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის სრულიად განსხვავებული ხედვა აქვთ.

პრობლემას ერთი უბრალო, ძველებური ალმის ფორმა აქვს, რომელიც სამხრეთ კაროლინის სენატის თავზე ფრიალებს. სამოქალაქო ომის დასრულებამდე არსებული კონფედერაციის დროშა თეთრკანიანი ამერიკელებისთვის მათი ისტორიული მემკვიდრეობის გამოხატულებაა, ზანგი მოსახლეობა კი მონობის სიმბოლოდ მიიჩნევს და მის ჩამოხსნას მოითხოვს.

ამ რამდენიმე კვირის წინ, ერთ-ერთმა გავლენიანმა აფროამერიკულმა საზოგადოებამ NAACP-იმ ყველა შავკანიან თანამოძმეს სამხრეთ კაროლინის ეკონომიკური ბოიკოტისკენ მოუწოდა.

აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონმა სერენა უილიამსმა მთელი ამ უთანხმოების შესახებ არაფერი იცოდა და ამ კვირაში ჰილტონ ჰედ აილენდში მიმდინარე ტურნირში ასპარეზობასაც აპირებდა, სანამ კი ბისკეინში ერთმა ინტრიგანმა ჟურნალისტმა დროშის შესახებ აზრის გამოთქმა არ სთხოვა.

მაშინ უმცროსმა უილიამსმა დასაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა და საბოლოოდ სამხრეთკაროლინელებს უარი შეუთვალა: „თქვენთან ჩამოსვლა გულით მსურდა, მაგრამ ამავე დროს არ შემიძლია მხარი არ დავუჭირო ჩემი რასის წარმომადგენელთა მოთხოვნებს. ჩემი უარი გაცილებით მნიშვნელოვან მოტივებზეა დაფუძნებული. ვწუხვარ, რომ ასე უნდა მოვიქცე".

ამას ტურნირის ორგანიზატორმა ლაიზა ტომასმა მეტად კორექტული განცხადებით უპასუხა: „ჩვენ გვესმის, რომ შექმნილ ვითარებაში რასობრივი უთანხმოება უილიამსების ოჯახს საჩოთირო მდგომარეობაში აყენებს. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს საქმე მალე მოგვარდება და სერენას გაისად აქ ვიხილავთ".

სერენასგან განსხვავებით, უიმბლდონის შარშანდელმა ნახევარფინალისტმა, ლეგენდარული ჯულიუს ირვინგის ქალიშვილმა ალექსანდრა სტივენსონმა სხვა გზა აირჩია.

„გადავწყვიტე, მაინც მეასპარეზა აქ, ჩემი სამუშაოს შესრულების გარდა საკუთარი აზრიც გამომეთქვა და ხალხისთვის გამეგებინებინა, რას ფიქრობს ახალგაზრდობა. პრობლემა მოგვარდება, თუ ყველა შეიგნებს, რომ ეს დროშა ჩაგვრის სიმბოლოა" — განაცხადა ჩოგბურთელმა, რომლის დედა, არცთუ მძიმე ყოფაქცევის ჟურნალისტი სამანტა სტივენსონი თეთრკანიანია.

საკუთარი სამუშაო ალექსანდრამ ჰილტონ ჰედში მეტად ცუდად შეასრულა (ერთეულებშიც და წყვილებშიც პირველივე წრეში წააგო), სამაგიეროდ, პოლიტიკურ სარბიელზე გამოიჩინა თავი და თვით შტატის გუბერნატორ ჯონ ჰოჯისსაც კი ესაუბრა.

„შესანიშნავი იყო გუბერნატორის კაბინეტში ჯდომა და მასთან პირისპირ საუბარი. არა მგონია, ეს ჩემი ასაკის ბევრ ადამიანს გაეკეთებინოს" — თვალებგაბრწყინებულმა განუცხადა ჟურნალისტებს 19 წლის ჩოგბურთელმა, რომელსაც მატჩის მოგებაზე მეტად ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე წამოჭიმვა ახარებს.

გუბერნატორთან საუბარს კი კონსტრუქციული ძნელად თუ ეთქმოდა. ალექსანდრას ყველაზე სალი გამონათქვამი დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო — რატომ არ ჩამოიღებთ დროშას, დამარხავთ და ახალს არ შექმნით? ჩვენ ყველანი ერთნაირები ვართ.

ჰოჯისმა მოთმინებით აუხსნა მსგავს ნიუანსებში არცთუ ჩახედულ სტივენსონს, რომ მის სურვილსა და გუნებაგანწყობაზე ბევრი არაფერია დამოკიდებული. ამის შესახებ გადაწყვეტილება თურმე ჯერ შტატის საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს. სენატი თანახმაა, ალამი ახლანდელი ადგილსამყოფლის ნაცვლად სამოქალაქო ომში დაღუპული სამხრეთელი ჯარისკაცების მონუმენტის გვერდით დაიკიდოს, თუმცა აფროამერიკელთა უმეტესობა არც ამ კომპრომისს მიიჩნევს საკმარისად.

ჰოჯისმა სტივენსონს გენერალური ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოსვლაც კი შესთავაზა კვირის ბოლოს. თავიდან ჩოგბურთელს ეს წინადადება ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ საკუთარმა წარუმატებლობებმა ისე გაამწარა, პოლიტიკური უთანხმოება და უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრების სურვილიც გადაავიწყდა და შინ გაემგზავრა.

**ავთანდილ სვანიძე**



ალექსანდრა სტივენსონი



# ქართველებმა ჩეხები ჩეხეს

19 აპრილს, საფრანგეთში მიმდინარე ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ტურში ქართველებმა ჩეხეთის ნაკრები 24:11 დაამარცხეს.

ახლა ჩვენებურები II ჯგუფში მე-5 ადგილისთვის იბრძოლებენ და პარაგვაის ნაკრებს შეხვდებიან, რომელმაც პორტუგალიას 22:12 სძლია.

ჯგუფში პირველობისთვის სამოა და კორეა გაეჯიბრებიან ერთმანეთს. რომლებმაც ფინალში გასვლით, გაისად I ჯგუფში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს. მესამე ტურში სამოამ რუსეთი დაამარცხა — 33:25, კორეამ კი II ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტს, ტონგას სძლია — 11:7.

*სხვა შეხვედრები ასე დასრულდა:*

**უკრაინა — გერმანია 17:5**
**მადაგასკარი — ტუნისი 6:32**
**ლიტვა — პოლონეთი 13:29**
**ჰოლანდია — მაროკო 0:29**

*22 აპრილს, ფინალურ ტურში ეს გუნდები ითამაშებენ:*

**ფინალი**
**სამოა — კორეა**
მე-3 ადგილისთვის
**რუსეთი — ტონგა**
მე-5 ადგილისთვის
**საქართველო — პარაგვაი**
მე-7 ადგილისთვის
**პორტუგალია — ჩეხეთი**
მე-9 ადგილისთვის
**უკრაინა — პოლონეთი**
მე-11 ადგილისთვის
**გერმანია — ლიტვა**
მე-13 ადგილისთვის
**ტუნისი — მაროკო**
მე-15 ადგილისთვის
**მადაგასკარი — ჰოლანდია**

# ფულს ერთ კვირაში მოიტანთო

## განუცხადა რაგბის კავშირმა ვალგადაუხდელ კლუბებს

**გუშინ** უნდა გარკვეულიყო საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდების ვინაობა, თუმც ერთი მათგანი უკვე კარგა ხნის წინ იყო ცნობილი. თბილისის „უნივერსიტეტმა" ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო საბუთებიც წარადგინა რაგბის კავშირში და ფულიც გადაიხადა. ცოტა მოგვიანებით ბათუმელებმაც დათქმული დროისთვის კავშირს ყველა ანგარიში გაუსწორეს. „ყოჩებმა" და ასკ-მ თანხის მხოლოდ ნახევარი გადაიხადეს. დარჩნენ „ლოკომოტივი" და „ზორდა", რომლებმაც 20 აპრილს მხოლოდ საბუთები წარუდგინეს რაგბის კავშირს.

გუშინ ქართული რაგბის თავკაცები და გუნდების მწვრთნელები შეხვდნენ ერთმანეთს. თქვენი მონა-მორჩილი ზრდილობიანად დაითხოვეს ამ შეკრებიდან და დაახლოებით ორი საათი აყურყუტეს დერეფანში. ამიტომ მხოლოდ შეხვედრის მონაწილეთა გადმოცემით ვიცი, რაზეც ილაპარაკეს. საუბრის მთავარი თემა ისევ ფულის დროულად გადახდა იყო და ამ პრობლემის განხილვისას ყველაზე მეტად კავშირის მთავარი ოპოზიციონერი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი აქტიურობდა. მას კატეგორიულად მოუთხოვია — განმარტოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ, სად წავიდა უცხოეთში მოთამაშე მორაგბეების კონტრაქტებისგან შემოსული ფულიო. იგი თვლის, და სამართლიანადაც, რომ ამ თანხის ნაწილი იმ გუნდების ბიუჯეტში უნდა წავიდეს, რომლებმაც ეს სპორტსმენები აღზარდეს და მაშინ კლუბებისთვის არც ჩემპიონატში მონაწილეობა გახდება სათუო. საფრანგეთში მოთამაშეები „ლოკომოტივსაც" გაუშვია, „ყოჩებსაც" და ასკ-საც, „ზორდამ" ხომ თითქმის მთელი გუნდი დაკარგა ამის გამო, მათ კი თეთრი რომ თეთრია, ისიც კი არ მიუღიათ. თუმცა თემურ ბენდიაშვილმა ისიც დასძინა, რომ მისი გუნდი კავშირში შესატანს აუცილებლად გადაიხდის, მხოლოდ დრო სჭირდება ამისთვის. დრო ითხოვა „ზორდას" მწვრთნელმა რევაზ ჯაფარაშვილმაც.

ჰოდა, ასეც მოხდა. კავშირმა ისევ გადაუვადა გუნდებს ფულის მოტანის დრო და ბოლო დღედ 28 აპრილი დათქვა.

**ზაზა ბენიძე**

# სორელს ინგლისელები დაასწრებს

**საქართველო-რუმინეთის** მატჩის შემდეგ „ბორჯღალოსანთა" ფრანგ დამრიგებელ კლოდ სორელს საკმაო ხანს ვესაუბრე. ჩვენი ნაკრების გარდა ფრანგულ და მსოფლიო რაგბისაც შევეხეთ. მაშინ ვკითხე, შესაძლებლობა რომ გქონოდათ, საქართველოს ნაკრებში რომელ ფრანგ მორაგბეს დაიმატებდით-მეთქი. სტაბილური დამრტყმელის არყოლით გაწვალებული კაცი, მეგონა, კრისტოფ ლამეზონს დამისახელებდა, მაგრამ ბატონმა კლოდმა ტომა კასტენიედის ბორჯღალოსნობა ისურვა. „იგი ფენომენალური მორაგბეა. ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში (შერკინების გარდა) და ყველგან უმაღლეს დონეზე, თანაც ნამდვილი პროფესიონალია. ერთი განახათ, როგორ ვარჯიშობს ხოლმე" — მითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

ალბათ, ამავე აზრისანი არიან ინგლისურ კლუბ „სარასენსის" მესვეურებიც, რომლებმაც, ერთ-ერთი ლონდონური გაზეთის თანახმად, ტომა კასტენიედს 250 ათასი გირვანქის ღირებულების კონტრაქტი შესთავაზეს.

ფრანგული „კასტრის" უკანახაზელი ნამდვილად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მორაგბეა და მისი გადაბირება ადრეც უნდოდათ ინგლისურ და ზე 12-ის ტურნირში მონაწილე კლუბებს. თუმცა, ეტყობა, ყველას „სარასენმა" აჯობა და კასტენიედიც მის უცხოურ ლეგიონს შეუერთდება. ამ გუნდში უკვე თამაშობენ ისეთი ძლიერი მორაგბეები, ავსტრალიელი მაიკლ ლაინეგი, სამხრეთაფრიკელი ფრანსუა პინარი და ფრანგი ფილიპ სელა რომ არიან.

„დეილი მეილის" განცხადებით, „სარასენსის" მილიონერმა მეპატრონემ ნაიჯელ ფრეიმ უკვე დაიწყო მოლაპარაკება კასტრელთან, რომელსაც ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტი ივნისის ბოლოს უმთავრდება.



ტომა კასტენიედი

თვით კასტენიედი კი ჯერჯერობით გადაჭრით არაფერს ამბობს: „ერთ-ერთი ინგლისური კლუბი ნამდვილად დამიკავშირდა, მაგრამ ჯერ ხელი არაფერზე მომიწერია. გადაწყვეტილებას სეზონის ბოლოს მივიღებ. ინგლისში თამაშის პერსპექტივა მიმზიდველია, მაგრამ მხოლოდ ისეთ გუნდში, ჩემპიონობისთვის რომ იბრძოლებს". „სარასენსი" კი ინგლისის ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი იქნება, კასტენიედის გადაბირება თუ შეძლო.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ბეისბოლი ლოზანაში დაგვიბინავდა

## მის შემქმნელს კი ვერცხლი გამოუგზავნა



*სპორტი და ხელოვნება, ხელოვნება და სპორტი, აი, ის ფორმულა, რომელიც ყველაზე უკეთ განაპირობებს ქვეყნის სახეს, მის საერთაშორისო ავტორიტეტს. სპორტი და ხელოვნება ამა თუ იმ ქვეყნის სავიზიტო ბარათია. სამწუხაროდ, ამგვარი სავიზიტო ბარათი ბოლო ათწლეულში გაგვიფერმკრთალდა, ამიტომაც უდიდესი ინტერესით ველით სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს, სადაც ჩვენი სპორტსმენების მიერ თუნდაც ერთი მედლის მოპოვება, გასაგები მიზეზების გამო, ორგზის გმირობის ტოლფასი იქნება. ეს იმ სპორტსმენისთვის იქნება სახელი და დიდებაც, ჩვენთვის — უდიდესი სიხარული, მანამდე კი ლოზანიდან ახლახან მოსული ინფორმაციით შეგვიძლია გავიხაროთ. იქ დასრულდა საერთაშორისო კონკურსი „ოლიმპიური ხელოვნება და სპორტი 2000", რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარდა. მასში თბილისელი მოქანდაკე, 42 წლის ლევან ვარდოსანიძეც მონაწილეობდა. ეს თავისთავად უკვე წარმატება იყო, მაგრამ სოკ-ის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის თავმჯდომარეობით ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც ხუთივე კონტინენტის ხელოვნებათმცოდნეები შედიოდნენ, ვარდოსანიძის ნამუშევარს — „ბეისბოლი", მეორე პრიზი არგუნა.*

„ბეისბოლი" პირველი ქართული ნამუშევარია, რომელიც ლოზანაში, სოკ-ის ოლიმპიურ მუზეუმში დაიდებს ბინას. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ამ მუზეუმს მეტად ფართო აუდიტორია ჰყავს. აქ, მხოლოდ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 188611 დამთვალიერებელი იყო. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით „ბეისბოლი" სხვა ნამუშევრებთან ერთად ავსტრალიის ამ ქალაქშიც იქნება ექსპონირებული, რასაც ასევე უამრავი დამთვალიერებელი ეყოლება და ლევან ვარდოსანიძის სახელს მეტ პოპულარობას შესძენს.

ამ მოქანდაკის სახელი პირველად შარშან გავიგონე, როცა ჩვენი ტელევიზიის პირველი არხით უჩვენეს ლევან ვარდოსანიძის ნამუშევართა ვერნისაჟი, რამაც ძალზე მომხიბლა და დიდი ინტერესიც გამიჩნდა, ისინი დედანში მენახა. ამის შესაძლებლობა სულ მალე მომეცა.

მაშინ, 1999-ის შემოდგომაზე, თბილისში, სურათების ეროვნულ გალერეაში, სეოკ-ის 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. საქართველოს კულტურული ოლიმპიადების ეროვნული კომიტეტის (კოსეკ) მიერ მოწყობილ ამ გამოფენას ერქვა „სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში". იქ წარმოდგენილ მშვენიერ ნამუშევრებში იყო ვარდოსანიძის რამდენიმე ქანდაკებაც.

— უშუალოდ კონკურსში მონაწილეობა აქამდე არ მიმიღია — გვიამბობს ვარდოსანიძე — ამგვარი კონკურსები ალბათ საბჭოთა პერიოდშიც ეწყობოდა, მაგრამ მათზე ინფორმაცია ჩვენამდე არ მოდიოდა. ყველაფერი კი სწორედ ეროვნულ გალერეაში კოსეკ-ის მიერ მოწყობილი იმ გამოფენიდან დაიწყო. „ცისფერ გალერეაში" მოწყობილი ის გამოფენა ყოფილა ერთ-ერთი ეტაპი კონკურსისა, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური მუზეუმი ატარებს. ჩვენს გალერეაში გამოფენილი 100-ზე მეტი ნამუშევრიდან შეირჩა ორი, ცინარა ტერელაძის გრაფიკული ნამუშევარი და ჩემი „ბეისბოლი". ლოზანაში სწორედ გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები იყო გამოფენილი. მათი ავტორები 54 ქვეყნის 178 წარმომადგენელი იყო. ქანდაკებაში შერჩეული ათი ნამუშევრიდან პირველი პრიზი ხორვატ ანტე გუბერინას ნამუშევარს მიენიჭა, მეორე — ჩემსას, მესამე კი ავსტრალიელს.

— თქვენ რამ გიბიძგათ „ბეისბოლის" შექმნის იდეისკენ? რატომ მაინცდამაინც ბეისბოლი და არა, ვთქვათ, ქართული ჭიდაობა ან სხვა რამ? — ვეკითხებით ლევან ვარდოსანიძეს, რომელსაც ლოზანურ წარმატებასთან დაკავშირებით შინ ვეწვიეთ.

— საერთოდ, სპორტში ქართულსა და არაქართულს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ. სპორტი პირველ რიგში არის დინამიკა, ექსპრესია და პლასტიკა. ბეისბოლში დავინახე ის ქანდაკებური პლასტიკა, რამაც მისი შექმნისკენ მიბიძგა. ასე ვთქვათ — სპორტს ეროვნება არა აქვს. ისე, სპორტულ თემატიკასთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე ნამუშევარი მაქვს შექმნილი: „ძიუდო", „ამერიკული ფეხბურთი" და სხვა.

ეს „და სხვა" ნამუშევრები, მათ შორის არასპორტულიც, ლევან ვარდოსანიძის ბინაშიც დავათვალიერეთ, რამაც უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. მისი ნამუშევრები თბილისის ქუჩებშიც შეგიძლიათ ნახოთ. ესენია: 1998 წელს „გამოფენილი" ვალტერ სიმენსისა და შალვა ჩიხლაძის მემორიალური დაფები, აპოლონ ქუთათელაძის ბიუსტი თბილისის სამხატვრო გალერეის სკვერში, სამხატვრო აკადემიის ფოიეს კი ამშვენებს სამმეტრნახევრიანი სადიპლომო ნამუშევარი „წყალში მხტომელი".

ფართო აუდიტორიამ ვარდოსანიძის ქანდაკებები პირველად 1990 წელს იხილა თბილისის მხატვრის სახლში მოწყობილ გამოფენაზე, ერთი წლის მერე მისი ნახელავი ნახეს ფინეთში, იუგოსლავიაში, 1993 წელს — ბერლინში, სადაც კიდევ ორჯერ იყო ექსპონირებული ჩვენი შემოქმედის ნამუშევრები, რომლებშიც ათლეტის თითოეული მოხდენილი მოძრაობა, სპორტსმენის შინაგანი ენერგია ზუსტადაა ასახული. ვარდოსანიძის ნამუშევრებში ვხედავთ ამა თუ იმ სახეობის წარმომადგენლისთვის დამახასიათებელ ზედმიწევნით ზუსტ მოძრაობას. ამიტომაც ვიფიქრეთ, რომ მათი ავტორი ალბათ მრავალმხრივი სპორტსმენი იყო, ის კი თურმე მხოლოდ ბავშვობაში დაყავდათ ტანვარჯიშზე.

**გიგა გურასპიშვილი**

**ავტორის ფოტოები**



ბეისბოლი



რაგბი



ძიუდო



*თავისუფლად მოჭიდავეთა ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატამდე გურამ მჭედლიძეს ჭიდაობის ქართველი გულშემატკივრები, ფაქტობრივად, არ ვიცნობდით. ნაკრების მწვრთნელ-წევრებისგან მხოლოდ ის გაგვეგო, რომ აფხაზეთიდან დევნილი და უკრაინას შეფარებული მჭედლიძე ხშირად ხვდებოდა ამ ქვეყნის გუნდში. მას შემდეგ, რაც უნგრეთში საქართველოს სახელით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ცხადია, მისდამი ინტერესიც გაიზარდა. ამ ინტერვიუს უპირველესი მიზანიც ესაა მკითხველს მჭედლიძე გავაცნოთ*

# მჭედლიძემ ბუდაპეშტში სამი კურდღელი დაიჭირა



გურამ მჭედლიძე

— დავიბადე 1972 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიში. 14 წლის რომ ვიყავი, სოფელში თანასოფლელმა ჯიმშერ გურჩიანმა ჭიდაობის წრე გახსნა, რომელშიც სხვებთან ერთად მეც ჩავეწერე. ასე დაიწყო ჩემი კარიერა. მოგვიანებით გურჩიანთან ერთად სოხუმში გადავედი სავარჯიშოდ. მერე აფხაზეთის ომიც დაიწყო, რამაც სამი წელიწადი, ფაქტობრივად, ჭიდაობას ჩამომაშორა. ომის დამთავრებისთანავე უკრაინაში, ქალაქ დნეპროპეტროვსკში წავედი საცხოვრებლად, სადაც ისევ შევხვდი გურჩიანს. ჭიდაობას რომ დავუბრუნდი, ეს მისი დამსახურებაა. მას მერე, რაც უკრაინის ნაკრებში მიმიწვიეს, კიევში ვცხოვრობ.

**— უკრაინაში რა წარმატებებს მიაღწიეთ?**

— ორი წელიწადი გამიჭირდა, რადგან ყველაფერი თავიდან დავიწყე, 1995 წლიდან მოყოლებული კი რამდენჯერმე მოვიგე უკრაინის ჩემპიონატიცა და თასიც. გამიმარჯვია სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირშიც.

**— საქართველოში დაბრუნება რამ გადაგაწყვეტინათ?**

— ყოველთვის ვოცნებობდი, საქართველოს სახელით მეჭიდავა. პირობებზე არასოდეს მილაპარაკია და ამით არც ახლა მივაჭრია. ჩემი სურვილით ჩამოვედი. ისე, უკრაინაში ჩემს წონაში — 76-ში ახლაც ყველას ვუგებ. ევროპის ჩემპიონატზეც წამიყვანდნენ, საქართველოში რომ არ დავბრუნებულიყავი.

**— ეს კარგი, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ამას წინათ, კიევის საერთაშორისო ტურნირის ფინალში გიხუბიათ, რასაც ნაკრებში თქვენი პოზიციები შეურყევია.**

— ფინალში უკრაინელ ტელბოტოვს ვხვდებოდი. ის ძლიერი მოჭიდავეა — ახალგაზრდებშიც ბევრი ტიტული მოუგია, ხოლო შარშანდელ ევროპის პირველობაზე 85-ში მეოთხე ადგილიც დაიკავა. ჩვენს შეხვედრას ბუდაპეშტში წამსვლელი უნდა გამოევლინა. ჩხუბის კონკრეტულ მიზეზს ვერ გეტყვით, ის კი ფაქტია, რომ პირველმა მან დამარტყა. რას მერჩოდა, ახლაც არ ვიცი. ბუნებრივია, ხურდა დავუბრუნე, შედეგად ორივეს ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მოგვცეს. კონფლიქტი სპორტში ხშირია და ეს არც მიკვირს, მაგრამ ეტყობა, ჩემი დასჯა ვიღაცას ხელს აძლევდა. ალბათ იმიტომ, რომ სასჯელის ვადის გასვლამდე ოლიმპიადაც დამთავრდებოდა.

**— რას გულისხმობთ — უკრაინელები გჩაგრავდნენ?**

— ასე პირდაპირ ვერ ვიტყვი, მაგრამ თავისიანს ყველა ცოტათი მაინც ეხმარება. იქ ბევრი ოსი ცხოვრობს. მათ შორის კარგი მოჭიდავეებიც არიან. ოსია იქაური ფედერაციის პრეზიდენტიც და ჩემი უმთავრესი კონკურენტიც, ლიცენზიამოპოვებული მუზაევი. თან, ისინი კარის მეზობლები არიან და ეჭვიც თავისთავად გიჩნდება კაცს. თუმცა თბილისში ჩამოსულს დამირეკეს, მუზაევმა ტრავმა მიიღო და დაბრუნდი, ევროპაზე წაგიყვანთო. ისიც გავიგე, დისკვალიფიკაციაც მოუხსნიათ, მაგრამ არ წავედი. მუზაევს სალიცენზიო მსოფლიომდეც მოვუგე და წლეულსაც, მაგრამ საგზური მას ჰქონდა და ოლიმპიადაზე ჩემი წასვლაც მაინც საჭოჭმანო იყო. მე კი მინდოდა, თავად მომეპოვებინა ლიცენზია.

**— მერე რამ შეგიშალათ ხელი?**

— სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წამიყვანეს შარშან თურქეთში. მითხრეს, 1998 წელს შენ იყავი, ახლა მუზაევი უნდა გამოვცადოთო. მეც რაღას ვიზამდი. წაიყვანეს მუზაევი და ლიცენზიაც მოიპოვა. ის ზუსტად მერვე ადგილზე გავიდა, რომლის ქვემოთაც საგზურებს აღარ იძლევიან.

**— მგონი, დადგა დრო ბუდაპეშტში მომხდარ ამბებზეც ვისაუბროთ.**

— უსაგზუროდ დარჩენილებს თავიდან ლიცენზიისთვის გვაჭიდავებენ, რომელსაც გამარჯვებული იღებს. მისი დასრულების მერე იწყება ჩემპიონატი. სალიცენზიო ტურნირის ჩემპიონი მასში მეოთხედფინალიდან ერთვება, დანარჩენები კი ჩვეულებრივად იწყებენ. ლიცენზიის მოსაპოვებლად ოთხი შეხვედრა ჩავატარე. ერთ-ერთი მეტოქე საქართველოდან წასული ბერძენი იყო, რომელიც 6:0-ს მიგებდა და დიდი გაჭირვებით დავამარცხე. გადამწყვეტ შეხვედრაში მოლდოველ ბეიკოვს, მსოფლიოს 1994 წლის ვიცე-ჩემპიონს მოვუგე და ლიცენზია მოვიპოვე. ამიტომ ძირითად ტურნირს კარგი განწყობით შევხვდი. იქ ჯერ რუმინელი მეტოქე შემხვდა, რომელსაც სალიცენზიოზე მოვუგე. მაშინ იოლად დავამარცხე 10:4, მეორედ კი გამიჭირდა. ეტყობა, ალლო ამილო და მხოლოდ ბოლო წამებზე გაკეთებული ორქულიანი ილეთით ვიმარჯვე 3:1. ამის მერე ვიჭიდავე ფინალში გადასასვლელი, სადაც გათურქებული ჩეჩენი ადამ ბერეკეტი (ბარახვაევი) შემხვდა. ის ძლიერი მოჭიდავეა, მაგრამ რუსეთის ნაკრებში ბუვაისა საიტიევს ვერაფერი მოუხერხა და თურქეთში ამიტომ წავიდა. მასთან 2:3 წავაგე, თუმცა მოგებაც შეიძლებოდა. ერთ მომენტში ცოტა ვიჩქარე. არც მისი ჭიდაობა ვიცოდი, რამაც შედეგზე გავლენა მოახდინა. მესამე ადგილისთვის ზემოთხსენებულ ტელბოტოვს შევხვდი და 5:2 მოვუგე. მასთან რევანში არანაკლებ გამიხარდა, ვიდრე ლიცენზია ან მედალი.

**— თავიდან ფიქრობდით ასეთ წარმატებაზე?**

— ლიცენზიის მოპოვება ნამდვილად არ მეეჭვებოდა. მიუწვდომელი არც მედალი ჩანდა.

**— ზემოთ კი თქვით, პირობებზე არ მისაუბრიაო, მაგრამ დროთა განმავლობაში ამას გვერდს მაინც ვერ აუვლით. აქ ჩამოსულს რაიმე ხელშეკრულება ხომ არ გაგიფორმებიათ?**

— გითხარით, რომ მე პირობებზე არასოდეს მისაუბრია. თუ ვინმე დამეხმარება, მადლობელი დავრჩები, მაგრამ ჩემთვის მთავარი შედეგია და არა ფული. ფული რომ მინდოდეს, გერმანიაში წავიდოდი კონტრაქტით. იქ ბევრი ნათესავიც ცხოვრობს. ისე, აქ ხელფასსაც შემპირდნენ, ბინასაც და პრემიასაც. განსაკუთრებით ბუდაპეშტის მერე.

**— ეს იმიტომ გკითხეთ, რომ ისეთი დაბრუნებულებიც გვინახავს, რომელთაც ხელი არავინ შეუწყო და გულაცრუებულებმა ისევ უცხოეთში გასაქცევი გზების ძებნა...**

— ეს არ მოხდება. მე საქართველოში ოჯახით ვბრუნდები. მალე უკრაინიდან ჩემი მეუღლე და ვაჟიშვილიც ჩამოვლენ. ყოველთვის საქართველოზე ვფიქრობდი, აქ ჩამოსვლაზე ვოცნებობდი.

**ირაკლი თავაძე**

# ოლიმპიური ფორიაქი

## ჩირაღდანი, ზვიგენის ტყავი, ფული და დოპინგი

ოლიმპიური ჩირაღდანი უკვე ამერიკული „შატლის“ კორპუსშია და ორშაბათს კოსმოსში გაფრინდება, იქ სიწყნარესა და სიმსუბუქეში დაჰყოფს ერთხანს და სექტემბერში, სიდნეის ოლიმპიადამდე ხუთი დღით ადრე დაუბრუნდება ცოდვილ დედამიწას. იმავდროულად ავსტრალიას ჩავა კოსმიური ჩირაღდნის აქაური თანამოძმეც, რომელიც ამასობაში შემოუვლის პლანეტას, მოიხილავს უდაბნოებს აქლემის კუზიდან, ცივილიზებულ მსოფლიოს ელექტრომობილის სალონიდან და ბოლოს ოკეანეთა სიღრმეებსაც უწევს წყალქვეშა ნავის მეშვეობით. ეს ოლიმპიადისწინა ხანის რომანტიკული მხარეა, ცხადია, არსებობს პრობლემებიც და ჩვენ ამ დღეებში წამოჭრილ ზოგიერთ მათგანს გავარჩევთ.

პირველი ოლიმპიური პრობლემის ამბავი მასპინძელი ქვეყნიდან მოვიდა და სიდნეიში „ლონგ-ჯონის“ დაშვების საკითხს ეხება. „ლონგ-ჯონი“ ფირმა „სპიდოსგან“ წარმოდგენილი უნიკალური საცურაო კოსტიუმი გახლავთ, გარეგნულად ზვიგენის ტყავს რომ წააგავს და ცურვისას ჰიდროდინამიკის რომელიღაც კანონის კარნახით სიჩქარეს 2-3 პროცენტით ზრდას იწვევს. ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) წესდებაში კი შემდეგი წერია: „იკრძალება ყველა ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც გაზრდის მოცურავის სიჩქარეს, ტივტივის უნარსა და ამტანობას“. შესაბამისად, ოზებმა ახლა ბოლომდე უნდა დაამტკიცონ, რომ ხსენებული პუნქტი არ ირღვევა და კოსტიუმის დაშვებაც უპრიანია. საქმე თითქოს დასრულებული იყო და ფინამაც ახალი გამოგონება უკვე აღიარა, მაგრამ ახლა ერთობ ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ, სპორტის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ წამოყო თავი და კანადელი ადვოკატი რიჩარდ მაკლარენი გაამწესა ამ საკითხზე დასკვნების გასაკეთებლად. ფინადან ჯიუტად იძახიან, სასამართლოს გადაწყვეტილება ულონო იქნებაო, ავსტრალიელები კი მალე ახალი კოსტიუმის საქმეში გამოცდას აპირებენ, რაც 13 მაისს, მწვანე კონტინენტის ეროვნულ შესარჩევ ტურნირში უნდა მოხდეს.



ანუკ ბარბერი

სიდნეიში შეიძლება ველარ წავიდეს ფრანგი შვიდჭიდელი ანუკ ბარბერი. „ფრანგი“ ძლიერ პირობითი ნათქვამია, რაზან ამ პიროვნებამ საფრანგეთის მოქალაქეობა მხოლოდ შარშან მიიღო, ბარსელონისა და ატლანტის ოლიმპიადებზე კი სიერა-ლეონეს სახელით უშვიდჭიდია. ფრანგული „ეკიპის“ ცნობით, სწორედ სპორტის იქაური ჩინოვნიკები იქცევიან უწესოდ, როცა მძლეოსნის გასანთავისუფლებლად ფულს ითხოვენ. „ჩვენ სპორტსმენს ოლიმპადისკენ გზას მაქსიმალურად მალე გავუკვალავთ — თქვა საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ფილიპ ლამბლენმა — მაგრამ მასში ფულის მოთხოვნას უნამუსობას ვუწოდებ“.

ბოლოს კი დოპინგზეც. სიდნეიში ამ სპორტულ კრიმინალთან ბრძოლა მკაცრად და სამართლიანადაა განზრახული. გუშინწინ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) ოლიმპიადის დოპინგ-ტესტებზე დამოუკიდებელი ექსპერტების დამკვირვებლებად მიწვევა გადაწყვიტა. დამკვირვებლები ანალიზის ყოველ ეტაპზე პროცედურის უმცირეს დარღვევებსაც კი აღრიცხავენ. სოკ-ის სამედიცინო კომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ჟაკ როგიმ კი ახალი ანტისადოპინგო მეთოდიკის შესახებ ისაუბრა და ოლიმპიადისთვის მისი დანერგვის ალბათობად 50 პროცენტი დაასახელა. ეს მეთოდიკა აქამდე უძლეველი დოპინგის — ეპო-ს გამოჭერის საშუალებას იძლევა.

**დავით გულუა**

# სად დედა ტერეზა, სად ბეისბოლი?!

გამოძიების ფედერალური ბიუროს კალიფორნიის განყოფილების ზოგი მუშაკი უეჭველად პრემიას იმსახურებს. მხედველობაში გვყავს ისინი, რომელთაც ბოლო სამი წლის მანძილზე მეტად შრომატევადი სამუშაო შეასრულეს, ალნუსხეს ათასზე მეტი სატელეფონო საუბარი და ახლახან სავსებით კანონიერ საფუძველზე ქალაქ სან დიეგოს პროკურორს 26 კაცის დაპატიმრების ორდერი გამოაწერინეს. ვირის აბანოში მოყუჩება კიდევ 40-მდე ადამიანს ელის. რაში მდგომარეობს ამდენი ხალხის ის დიდი დანაშაული, სახელოვანი „ეფ-ბი-აი“ რომ დაუინტერესებია? საქმე პოპულარულ პიროვნებათა ავტოგრაფების უკანონო ბიზნესს ეხება. ყველაფერი ქალაქ ესკონდიდოში მცხოვრებმა ექვსმა სახლიკაცმა დაიწყო. ისინი ახერხებდნენ სუვენირებზე ცნობილი ადამიანების მეტად მიმსგავსებული ავტოგრაფების ალბეჭდვას და შემდეგ დიდი წარმატებით ყიდდნენ ცალკე ინტერნეტით, ცალკე კატალოგებით და ხანდახან ანტიკვარული და სუვენირების მაღაზიების მეშვეობითაც. სული და გული, ვისი ავტოგრაფები გინდოდათ, მათ რომ არ შეექმნათ: მუჰამედ ალისა თუ პრინცესა დაიანასი, მაიკლ ჯორდანისა თუ მერილინ მონროსი; ჰილარი კლინტონი, ბრიუს ლი, „ბითლზი“, ალბერტ აინშტაინი (?!), განთქმული ბეისბოლისტები: ბეიბ რუთი, ჯო დიმაჯიო, ტონი გუინი — თაღლითების ინტერესთა სფეროში მოხვედრილი ცნობილი ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილი გახლავთ. ბიზნესი მალე გაიფურჩქნა, რადგან ავტოგრაფომანია ამერიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. იანკებს უყვართ ნადირობა დიდ ადამიანთა ხელმოწერებსა და სხვა რამერუმეებზე. მარტო სპორტულ რელიქვიებზე შტატებში თურმე ათობით მილიონი კაცი დარბის და გვარიანად იხარჯება. ამიტომაც ყალბისმქმნელთა ანკესს მრავალი წამოეგო და რაზან მოთხოვნა დიდი იყო, წარმოების გაფართოებაც მომწიფდა. ძირითადმა ექვსეულმა მალე მოძებნა ისეთი ხალხი, ვისაც ავტოგრაფების უნაკლოდ გამეორება და მათი უტყუარობის დამადასტურებელი საბუთების კეთებაც ეხერხებოდა. გარდა ამისა, თაღლითებმა სამომავლოდ გარკვეული სტრატეგიული გეგმებიც მოხაზეს: მათ როლანდ რეიგანის ავტოგრაფიანი სუვენირები გაუმზადებიათ იმ იმედით, მას დიდი დღე არ უწერია და რომ მოკვდება, ჩვენს ნაზელავს ოქროს ფასი დაედებაო. იყო შეცდომებიც, მაგალითად, დედა ტერეზას ავტოგრაფი ბეისბოლის ბურთზე (!). საბოლოო ჯამში კი დიდებულად აწყობილი საქმე კრახით დასრულდა.

1997 წლის ერთ მშვენიერ დღეს ტონი გუინი (ზემოთნახსენები ბეისბოლისტი) სან დიეგოს სავაჭრო ცენტრში შევიდა და დახლზე საკუთარი ხელმოწერით დამშვენებული ბურთი რომ იხილა, თავიდან იფიქრა, ამნეზია ხომ არ მჭირსო, შემდეგ კი გული მოუვიდა და სამართალდამცავებს უხმო. გამოძიებაც იქიდან დაიწყო და დღეს, როგორც ვხედავთ, წარმატებით დაგვირგვინდა. დამატებით ის გავიგეთ, რომ მარტო დამალული გადასახადების სახით თაღლითებს ამერიკის ბიუჯეტისთვის 2,75 მილიონი დოლარი წაუღლეტიათ, აწი კი ვერ წაღლეტენ, თუმცა მოისპო ამით თავად პრობლემა? საეჭვოა. ამას სან დიეგოს საოლქო პროკურორის თანაშემწე ფილიპ ჰელპერნიც ადასტურებს შემდეგი სიტყვებით: „მინიმუმ 50, ან იქნებ 90 პროცენტიც სპორტული რელიქვიებისა ნაყალბევია“. კიდევ ერთი კითხვა ბატონ ჰელპერნს: „მაშ, რა ვქნათ?“ აი, ამომწურავი პასუხიც: „ეცადეთ, მუდამ იყოთ ისეთ ადგილას, საიდანაც ცხადად ნახავთ, რომ ცნობილი ადამიანი ავტოგრაფს იძლევა“. ჩვენ კი ერთ პასუხსაც ვიტყოდით: „ნუ გადაჰყვებით ავტოგრაფებს!“

**დავით გულუა**



19 აპრილი

### დასავლეთი

**ლოს ანჯელესი — დეტროიტი 0:4**

**ლოს ანჯელესი — დეტროიტი 0:3**

0:2 0:0 0:1

0:1 ვერბიკი 17'10 (1); 0:2 ლ. მერფი 19'41 (1); 0:3 ფიოდოროვი 59'09 (3)

|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 25 | 13 | 12 | 2148:2132 | 38 |
| დინამო | 26 | 11 | 15 | 1942:2077 | 36 |
| შევარდენი | 26 | 10 | 16 | 1834:2011 | 35 |
| სსუ | 26 | 5 | 21 | 1864:2370 | 31 |
| ასკ | 26 | 2 | 24 | 1875:2425 | 28 |
| გორი | 25 | 3 | 22 | 1494:1872 | 24 |

*გორს დაკლებული აქვს ოთხი ქულა, შევარდენს და დინამოს — თითო-თითო*

## სლოვენია

ექვსეულის X ტური

ტრიგლავი — სავინსკი 64:67, ოლიმპია — პივოვარნა 72:77

**კრკა 79:71 სლოვანი**

კრკა: დრაჟოვიჩი, იევტოვიჩი (2), პეტროვიჩი (12), სმოდიში (14), გრუმი (6), დრობრიაკი (18), შრეკიჩი (4), ნაკიჩი (23)

სლოვანი: ნოვაკი (7), ლაკოვიჩი (14), ჟაკელი (3), უზრიხელიძე, ჯურკოვიჩი (7), კოვაჩი (4), პავიჩი (6), ბოისა (13), მარავიჩი (10), შუშტარშიჩი, ცქიტიშვილი (7)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 32 | 30 | 2 | 2845:2345 | 62 |
| ოლიმპია | 32 | 28 | 4 | 2780:2023 | 60 |
| კრკა | 32 | 22 | 10 | 2535:2312 | 54 |
| სლოვანი | 32 | 15 | 17 | 2342:2371 | 47 |
| სავინსკი | 32 | 14 | 18 | 1501:2563 | 46 |
| ტრიგლავი | 32 | 13 | 19 | 2029:2547 | 45 |

VII-XII ადგილები

X ტური

ზაგორიე — ლოკა კავა 63:81, როგლა ატრასი — კრაშკი ზიდარი 69:70, ჰელიოსი — მარიბორი 81:79

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ზაგორიე | 32 | 17 | 15 | 2323:2455 | 49 |
| კრაშკი ზიდარი | 32 | 12 | 20 | 2391:2458 | 44 |
| ლოკა კავა | 32 | 12 | 20 | 2314:2475 | 44 |
| როგლა ატრასი | 32 | 11 | 21 | 2369:2495 | 43 |
| ჰელიოსი | 32 | 11 | 21 | 2466:2692 | 43 |
| მარიბორი | 32 | 7 | 25 | 2265:2694 | 39 |

ჩემპიონობისთვის ბრძოლას ოთხი გუნდი გააგრძელებს

**პლეი ოფის ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)**

პივოვარნა — სლოვანი

ოლიმპია — კრკა

## იტალია

პლეი ოფის პირველი წრე (ორ მოგებამდე) გადამწყვეტი მატჩები

| | |
|---|---|
| სიენა | 2 |
| იმოლა | 1 |

სიენა 82:77 იმოლა

| | |
|---|---|
| ძუკეტი | 1 |
| მიულერი | 2 |

ძუკეტი 90:99 მიულერი

| | |
|---|---|
| ბენეტონი | 2 |
| პეზსი | 1 |

ბენეტონი 74:66 პეზსი

| | |
|---|---|
| აეროპორტი | 1 |
| ტრიესტი | 2 |

აეროპორტი 68:70 ტრიესტი

| | |
|---|---|
| ვიოლა | 2 |
| ვარეზე | 1 |

ვიოლა 93:65 ვარეზე

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში*

**მეოთხედფინალი**

ფორტიტუდო — სიენა

მიულერი — ადეკო

ბენეტონი — ტრიესტი

კინდერი — ვიოლა

## NBA

19 აპრილი

**სიეტლი 106:114 კლიპერსი**

სიეტლი: პეიტონი (14), ვილიამსი (17 ქულა, 10 პასი), ლუისი (11), ბორელი (11), ბეიკერი (10); მაკკოი (15), ფოსტერი (10), ბერი (8), ვინსონი (6), პატერსონი (4)

კლიპერსი: მაკინისი (13), პიატკოვსკი (27), ნესბი (23), ოდომი (33 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი, 4 დაფარება), ოლოვოკანდი (15 ქულა, 12 მოხსნა); ჯონსი (3), ჩილქათი, ბოჰანონი, ევენტი

„სიეტლ სუპერსონიქსმა" უსტეფანიოდ და ცუდად ჩაამთავრა რეგულარული ჩემპიონატი. ცუდად, რადგან შინ წააგო ასოციაციის ყველაზე უხეირო გუნდთან, რომლისთვისაც ეს გამარჯვება ბოლო 12 თამაშში პირველია. ისტორიაც იმაზე მეტყველებს, რომ „კლიპერსს" ყოველთვის უჭირდა „ზებგერითების" ძლევა. ლოსანჯელესელებმა „სონიქსს" ბოლოს 1997 წლის 23 იანვარს მოუგეს, სიეტლში ხომ ბოლო ექვსი წელია, შერცხვენის მეტი არაფერი უნახავთ. „სიეტლი" მართლაც რომ არსენასავითაა, მასზე ითქმის, მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო. სტეფანიას გუნდმა უცნაურად გაიარა რეგულარული სეზონი. „ზებგერითებმა" ლიგის თითქმის ყველა ბობოლა გუნდის გამწარება შეძლეს, ამავე დროს გამარჯვება ისეთ გუნდებსაც „აჩუქეს", რომლებიც ცხრილის ფსკერზე ყურყუტებენ. „სიეტლის" მრავალფეროვან კოლექციას ეს მარცხიღა აკლდა.

მართალი გითხრათ, მასპინძლებს მაინცდამაინც თავი არ მოუკლავთ. „სონიქსისთვის" ყველაფერი ერთი დღის წინ, საკრამენტოში გამარჯვებით გადაწყდა. ამ მატჩს მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გუნდის პრესტიჟს დაცვა სჭირდება, დარბაზში მყოფ 15 ათას ქომაგს კი — დაფასება. მასპინძელთა დამრიგებელმა პოლ ვესტფოლმა ცოტა ხანს ათამაშა გუნდის ლიდერები — გერი პეიტონი და ვინ ბეიკერი, ორი ვეტერანი — ჰორას გრანტი და ვერნონ მაქსველი კი იმ დღეს მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით შემოიფარგლნენ.

რაც შეეხება „კლიპერსს", ამ უკბილო გუნდმა თავის მხრივ ყველაფერი იღონა, რათა სეზონის ფინიშზე მაინც გაეწყვიტა წაგებათა გრძელი ჯაჭვი, რომელიც აგრერიგ უმძიმებდა ზურგს. სტუმართაგან ყველაზე მეტად ახალბედა თავდამსხმელი, ლამარ ოდომი დაიხარჯა, რაც ცალკე საუბრის თემაა. როდესაც ამ ყმაწვილმა ნბა-ს ბობოქარი სამყაროს კარი შაღოთ, დაიქადნა, ჯორდანზე ნაკლები არაფრით არ ვარ და „კლიპერსს" ისე ავაყვავებ, როგორც ჯორდანმა „ჩიკაგოო". ახლა უკვე მშვენივრად ჩანს, რამდენად ააყვავა მან თავისი დაქცეული გუნდი. ერთადერთი, რასაც ამ ტრაბახა და ავარდნილ ბიჭს კაცი ვერ დაუკარგავს, ნიჭია, რომელიც უხვადა აქვს ოდომს. იგი ეპიზოდურად ბრწყინავს, რასაც როგორც წესი ჩაგდებული თამაშების მთელი სერია მოსდევს. აღსანიშნავია, რომ ოდომმა ნბა-ში პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი მატჩებიც სწორედ ვოვა სტეფანიას „სიეტლთან" ითამაშა. მართალია, პირველში მის 30-ქულიან თავგამოდებას შედეგი არ მოჰყოლია, „კლიპერსი" ვერ მოერია „სიეტლს", მაგრამ ახლა, სეზონში მისმა ყველაზე ბევრმა, 33 ქულამ „კლიპერსს" „სონიქსი" ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად დაამარცხებინა.

**იუტა 96:86 საკრამენტო**

იუტა: მელოუნი (18), ჰორნაჩეკი (18)

საკრამენტო: მარტინი (16)

**სან ანტონიო 103:98 ლეიკერსი**

(ძირითადი დრო 89:89)

სან ანტონიო: რობინსონი (17)

ლეიკერსი: ბრაიანტი (23), ონილი (22)

**გოლდენ სტეიტი 88:99 ფინიქსი**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (20)

ფინიქსი: რობინსონი (23)

**პორტლენდი 95:96 დენვერი**

პორტლენდი: სმითი (15)

დენვერი: ვან ექსელი (22), მაკდაიესი (22)

**ჰიუსტონი 92:96 ვანკუვერი**

ჰიუსტონი: ვილიამსი (20)

ვანკუვერი: დიკერსონი (20), აბდურ-რაჰიმი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**მილუოკი 110:105 ვაშინგტონი**

მილუოკი: ვილიამსი (19)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (27), ვიტნი (22)

**მინესოტა 107:113 დალასი**

მინესოტა: პილერი (22), ჯეკსონი (21)

დალასი: ნეში (22 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

**ინდიანა 111:92 ატლანტა**

ინდიანა: როუზი (19)

ატლანტა: რაიტი (23)

**ორლანდო 106:100 ტორონტო**

ორლანდო: მერსერი (27), არმსტრონგი (22)

ტორონტო: მაკგრეიდი (14)

**ნიუ ჯერსი 108:111 კლივლენდი**

ნიუ ჯერსი: გილი (29), ნიუმენი (29)

კლივლენდი: მიურეი (27), კემპი (23 ქულა, 12 მოხსნა)

**დეტროიტი 112:91 ჩიკაგო**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (21)

ჩიკაგო: ბრენდი (32 ქულა, 11 მოხსნა)

**შარლოტი 83:73 მაიამი**

შარლოტი: ჯონსი (14)

მაიამი: კარტერი (16)

**ბოსტონი 112:85 ნიუ იორკი**

ბოსტონი: პირსი (19)

ნიუ იორკი: ვოლესი (17)

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღეს „სიეტლს" ბევრმა სხვა გუნდმაც მიბაძა, ძალები დაზოგა და თავისზე სუსტ მოწინააღმდეგეს სეზონის ბოლო გამარჯვებით დატკბობის საშუალება მისცა. სწორედ ამგვარად მოიქცნენ „პორტლენდი", „მინესოტა", „ტორონტო" და „ნიუ იორკი".

თავისზე სუსტ მეტოქესთან წააგო „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა", თუმც „სან ანტონიოზე" სუსტი პირობითად თუ

# მე წავედი!

## ჩარლზ ბარკლი კალათბურთს და ხალხს დაემშვიდობა



ითქმის. იმ დღეს „სფურზს" „ლეიკერსთან" მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, რათა პლეი ოფში „ფინიქსთან" მოედნის უპირატესობა დაებევებინა. ამიტომაც ჩემპიონმა ჩემპიონურად ითამაშა და რეგულარული სეზონის მომგებ „ლეიკერსს" ოვერტაიმში გამარჯვება გამოჰგლიჯა ხელიდან, თან ისე, რომ ტიმ დანკანი არ ჰყოლია. წინა სეზონში „სან ანტონიოსთვის" ჩემპიონობის მომტანი დანკანი წლევანდელის მეორე ნახევარში წვრილმანმა ტრავმებმა დატანჯა და ძალიან შიშობენ, ვაითუ, პლეი ოფშიც ვერ დაიბრუნოს ჩვეული ფორმაო.

თვითონ ეს თამაში კი იმ დღეს გამართული 14 შეხვედრიდან ყველაზე დაძაბული გამოდგა. „ლეიკერსს" გამარჯვება ბევრს არაფერს მატებდა, მაგრამ ლოსანჯელესელებმა ჩემპიონებთან დათმობა იუკადრისეს და მოსაგებად შემართულნი გავიდნენ მოედანზე. „სფურზმა" მომხდურებს მძლავრი დაცვა შეაგება და თამაშიც, როგორც ამ გუნდებს ეკადრებათ, ისეთი გაჩაღდა. იმ დღეს მასპინძელთა იმედი კარგად შებერებულ ცენტრ, დევიდ რობინსონის თამაშის ხარისხს ემყარებოდა. მას დანკანის არყოფნაში ქულებიც უნდა დაეგროვებინა და სტუმართა ცენტრი, ბრწყინვალე ფორმაში მყოფი შაკილ ონილიც გაეჩერებინა. „ადმირალმა" ამ უკანასკნელ საქმეს უფრო გაართვა თავი. მართალია, ქულები ბევრი არ მოუხვეჭია, მაგრამ სამაგიეროდ არც ონილს მისცა განავარდების საშუალება და რეგულარული სეზონის ბომბარდირი 22 ქულას დააჯერა. სამაგიეროდ, „ადმირალმა" დამატებით ხუთ წუთში რამდენიმე პატარა გაკვეთილი ჩაუტარა შედარებით ახალგაზრდა ონილს და ოვერტაიმში ექვსი ქულა შეაწია თავისიანებს.

„სან ანტონიოს" არც აღმოსავლელი „შარლოტი" ჩამორჩა. მან ტიმ ჰარდევეის გარეშე დარჩენილი „მაიამი" დაამარცხა და მანამდე აღმოსავლეთში მეოთხე ადგილზე მყოფ „ფილადელფიას" გადაუსწრო, რითაც მასთან პლეი ოფის პირველ წრეში მოედნის უპირატესობა მოიპოვა. „ფილადელფიას" კი თითქოს თავისი ლიდერის, ალენ აივერსონის ტრავმიანობა არ ეყოფოდა, ახლა ეს უპირატესობაც გაუშვა ხელიდან.

სწორედ 19 აპრილს, რეგულარული სეზონის ბოლო დღეს, საბოლოოდ დასრულდა „ჰიუსტონ როკიტსის" ან უკვე ყოფილი თავდამსხმელის, 36 წლის ჩარლზ ბარკლის კარიერა, თანაც სწორედ ისე, როგორც ლეგენდარულ სერ ჩარლზს თავად სურდა. ბარკლი მეორე მეოთხედში შევიდა მოედანზე და ექვსი წუთი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში მან გააკეთა ყველაფერი, რასაც თექვსმეტი წლის განმავლობაში აკეთებდა ნბა-ში — ჩააგდო ერთი ბურთი, ერთიც მოხსნა, გააკეთა ამდენივე შედეგიანი გადაცემა და მეტოქის სროლასაც დააფარა, რის შემდეგაც განაცხადა — „მე წავედი!".

გადაჭედილმა „კომპაკ სენთერმა" იგი ტაშის გრიალით და შეძახილებით — „ჩვენ გვიყვარხარ, სერ ჩარლზ, მშვიდობით!" — გააცილა. კალათბურთს გამოეთხოვა კიდევ ერთი დიადი მოთამაშე და ზურგსუკან დატოვა 1072 თამაშში, საშუალოდ 22,2 ქულა, 11,7 მოხსნა და 3,9 პასი. წავიდა ბარკლი და ჩემპიონობის სანუკვარი ოცნებაც თან გაიყოლა.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — კლიპერსი. კლიპერსელმა ლამარ ოდომმა (ბურთით) ლაზარო ბორელი და მისი თანაგუნდელები დაიბრიყვა

**საბოლოო ცხრილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ინდიანა* | 56 | 26 | 68,3 |
| მაიამი* | 52 | 30 | 63,4 |
| ნიუ იორკი* | 50 | 32 | 61,0 |
| შარლოტი* | 49 | 33 | 59,8 |
| ფილადელფია* | 49 | 33 | 59,8 |
| ტორონტო* | 45 | 37 | 54,9 |
| დეტროიტი* | 42 | 40 | 51,2 |
| მილუოკი* | 42 | 40 | 51,2 |
| ორლანდო | 41 | 41 | 50,0 |
| ბოსტონი | 35 | 47 | 42,7 |
| კლივლენდი | 32 | 50 | 39,0 |
| ნიუ ჯერსი | 31 | 51 | 37,8 |
| ვაშინგტონი | 29 | 53 | 35,4 |
| ატლანტა | 28 | 54 | 34,1 |
| ჩიკაგო | 17 | 65 | 20,1 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| ლეიკერსი* | 67 | 15 | 81,7 |
| პორტლენდი* | 59 | 23 | 72,2 |
| იუტა* | 55 | 27 | 67,1 |
| სან ანტონიო* | 53 | 29 | 64,6 |
| ფინიქსი* | 53 | 29 | 64,6 |
| მინესოტა* | 50 | 32 | 61,0 |
| სიეტლი* | 45 | 37 | 54,9 |
| საკრამენტო* | 44 | 38 | 53,7 |
| დალასი | 40 | 42 | 48,8 |
| დენვერი | 35 | 47 | 42,7 |
| ჰიუსტონი | 34 | 48 | 41,5 |
| ვანკუვერი | 22 | 60 | 26,8 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 63 | 23,2 |
| კლიპერსი | 15 | 67 | 18,3 |

*— გავიდნენ პლეი ოფში

**პლეი ოფის პირველი წრე (სამ მოგებამდე)**

აღმოსავლეთი

ინდიანა — მილუოკი

მაიამი — დეტროიტი

ნიუ იორკი — ტორონტო

შარლოტი — ფილადელფია

დასავლეთი

ლეიკერსი — საკრამენტო

იუტა — სიეტლი

პორტლენდი — მინესოტა

სან ანტონიო — ფინიქსი

*შეხვედრები დაიწყება 22 აპრილს*

REUTERS სალონიკიდან



თასით ხელდამშვენებული, მოზეიმე ათენის „პანათინაიკოსი“

# ობრადოვიჩი უბადლოა, პანათინაიკოსი პირველი

ევროლიგის „ოთხთა ფინალი“. ფინალი

## პანათინაიკოსი 73:67 მაკაბი

20 აპრილი. სალონიკი. I ტაიმი 36:36

მსაჯები: იზტოკ რემსი (სლოვენია), რომუალდას ბრაზაუსკასი (ლიტვა)

| პანათინაიკოსი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ალვერტისი | 35 | 2/2 | 0/3 | 0/0 | 3 | 0 | 0 | 4 | 4 |
| ბოდიროგა | 34 | 2/8 | 0/0 | 5/8 | 3 | 2 | 0 | 1 | 9 |
| ბერკი | 13 | 3/4 | 0/0 | 1/2 | 3 | 0 | 0 | 4 | 7 |
| ფოცისი | 10 | 3/4 | 1/1 | 0/2 | 5 | 0 | 0 | 2 | 9 |
| ჯენტილე | 18 | 0/0 | 1/4 | 0/0 | 1 | 1 | 0 | 4 | 3 |
| კატაში | 25 | 0/1 | 2/3 | 11/14 | 1 | 2 | 1 | 0 | 17 |
| კოხი | 6 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| რებრაჩა | 29 | 5/6 | 0/0 | 10/14 | 8 | 0 | 0 | 1 | 20 |
| როჯერსი | 27 | 2/2 | 0/3 | 0/0 | 2 | 2 | 0 | 4 | 4 |
| სულ | 200 | 17/27 | 4/14 | 27/40 | 26 | 8 | 1 | 20 | 73 |

| მაკაბი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრისკერი | 25 | 3/6 | 2/3 | 1/2 | 3 | 0 | 0 | 4 | 13 |
| კომეგისი | 21 | 1/2 | 0/0 | 1/2 | 5 | 3 | 0 | 4 | 3 |
| ჰენფელდი | 29 | 0/4 | 0/0 | 0/2 | 1 | 0 | 1 | 3 | 0 |
| ჰაფმანი | 34 | 9/18 | 1/1 | 5/8 | 10 | 2 | 0 | 4 | 26 |
| ჯამჩი | 6 | 0/0 | 1/1 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 2 | 3 |
| მაკდონალდი | 38 | 3/6 | 1/3 | 2/2 | 3 | 1 | 1 | 4 | 11 |
| პოპა | 6 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| შარფი | 14 | 1/2 | 1/2 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 5 | 5 |
| შეფერი | 26 | 1/3 | 1/2 | 1/2 | 2 | 2 | 0 | 5 | 6 |
| შელეფი | 1 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| სულ | 200 | 18/41 | 7/12 | 10/18 | 26 | 9 | 2 | 34 | 67 |

დასაწყისი პირველ გვერდზე

ობრადოვიჩმა უძვირფასესობისთვის ჟელკო რებრაჩა „გაწირა“, თან ებრაულ გუნდს „ებრაული ნაღმიც“ დაუდო: გადამწყვეტ მომენტებში ტომით ებრაელს, ყოფილ მაკაბელს, ახლა კი პანათინაიკოსელ ოდედ კატაშს ანდობდა თამაშის გაძღოლას. შედეგად: ათენის „პანათინაიკოსი“ ევროლიგის ჩემპიონია. გუნდმა 1996 წლის მიღწევა გაიმეორა.

გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიან — ამ წესს „პანათინაიკოსის“ მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმაც მისდია და „მაკაბის“ დამრიგებელმა პინი გერშონმაც. გუნდები იმავე შემადგენლობებით და სასტარტო ხუთეულებით წარდგენ ერთმანეთის პირისპირ, როგორითაც ნახევარფინალებში.

დასაწყისიდანვე გამოიკვეთა რამდენიმე ერთმანეთის მეურვე წყვილი: რებრაჩა — ჰაფმანი, ბოდიროგა — ჰენფელდი, ჯენტილე — მაკდონალდი... თავიდან ჭიდაობა მიდიოდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჭიდაობდნენ მოედნის თითოეული გოჯისთვის, თითოეული ბურთისთვის.

მეტოქეებმა შეტევები ცენტრებზე ააწყვეს: პანათინაიკოსელი ჟელკო რებრაჩა ნახევარტრიალებით აგდებდა ბურთებს, მაკაბელი ნათანიელ ჰაფმანი — ფარქვეშ გარღვევებით. „პანათინაიკოსში“ ბურთს ათამაშებდა ნანდო ჯენტილე, რომელიც ხანდახან მარჯვენა ფლანგზე მოკალათებულ ფრაგისკოს ალვერტისსაც აფასებდა პასით, ეს უკანასკნელი კი ზუსტი იყო. „მაკაბიში“, ჰაფმანის კვალად, არიელ მაკდონალდი აქტიურობდა, მის გარღვევებს და დრიბლინგებს არეულობა შეჰქონდა ათენელთა დაცვაში.

და დეიან ბოდიროგა? იგი იქვე იყო, მოედანზე, ოღონდ მისთვის იმ დღეს წამყვანი როლი არ მიუციათ. ბოდიროგა ზედმიწევნით ასრულებდა დაკისრებულ სამუშაოს, მაგრამ ინიციატივას თავის თავზე არ იღებდა. არადა, „მაკაბის“ დაცვა ბოდიროგას შეჩერებაზე იყო აწყობილი და მან რომ თავი არ გამოიდო, ცოტა არ იყოს, აიშალა. მე-10 წუთზე ანგარიში 17:17 იყო. აქედან რებრაჩას და ჰაფმანს 10-10 ქულა მიეთვალათ.

რებრაჩა დასასვენებლად რომ გავიდა, ჰაფმანს ირლანდიელი პატ ბერკი დაუდგა. მაკაბელმა მაგრად დაჩაგრა მეტოქე — 12 წამში ორი პერსონალური აკიდა და საჯარიმოებიც ჩააგდო. ამასობაში დერიკ შარფს წაუვიდა შორი სროლები და „მაკაბიმ“ მოიპოვა ხუთქულიანი უპირატესობა, რომელსაც ტაიმის ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა.

ტაიმის დამთავრებამდე 1,58 წუთით ადრე „მაკაბი“ 36:29 იგებდა. ამ დროს პინი გერშონმა გაიყვანა ნათანიელ ჰაფმანი და მის ნაცვლად 222-სანტიმეტრიანი რუმინელი კონსტანტინ პოპა შემოუშვა. პოპამ 53 წამი დაჰყო მოედანზე და როცა გავიდა ანგარიში თანაბარი იყო. აქ გაიბრწყინა ოდედ კატაშმა. მან ორჯერ მისცა პასი ფარქვეშ რებრაჩას, რომელსაც პოპა მეურვეობდა. რუმინელმა ორჯერვე ჯარიმა აიკიდა, ხოლო რებრაჩამ ოთხივე საჯარიმო გამოიყენა. მერე კი კატაშმა მარცხენა ფლანგიდან, ერთი შეხედვით, უიმედო მდგომარეობიდან ესროლა სამქულიანი, ჩააგდო და ტაიმიც 36:36 მორჩა.

მეორე ნახევარი „პანათინაიკოსმა“ რებრაჩას და კატაშის გარეშე დაიწყო. ცენტრზე ბერკი იდგა, გამთამაშებლად — ჯენტილე. ცხადი გახდა, რომ ობრადოვიჩი ახალ ლიდერზე აწყობდა თამაშს. ვინ იყო იგი? ცდებით, ბოდიროგა კვლავ ჩრდილში იყო. ლიდერობა ალვერტისმა იტვირთა. მან თავადაც ჩააგდო, მერე კი რიგიანად უხელმძღვანელა თანაგუნდელთა შეტევებს.

ამ დროს ჰაფმანმა მეოთხე პერსონალური მიიღო და ცოტა ხნით მოედნიდან გავიდა. ცენტრად კომეგისი დადგა, რომელიც ბერკს ვერ აჩერებდა და თამაშში დაბრუნებულ რებარჩას რას დააკლებდა? დამთავრებამდე 11,30 წუთით ადრე „პანათინაიკოსი“ 48:40 იგებდა. ორიოდ წუთში კი ოთხ მაკაბელს ოთხ-ოთხი პერსონალური დაუგროვდა (ჰაფმანი, ბრისკერი, შარფი, შეფერი), ასეთივე დღეში იყვნენ „პანათინაიკოსელთა“ მაღლები როჯერსი და ბერკი.

ობრადოვიჩმა 18 წლის ფორვარდი ანტონის ფოცისი შეუშვა, რომელმაც სულ ბლღვირი აადინა მეტოქეს: ზედიზედ სამჯერ ჩაუგდო ფარქვეშიდან, მანამდე კი ერთი სამქულიანიც მიითვალა.

11-ქულიანი უპირატესობა რომ მოიპოვა, „პანათინაიკოსი“ წამიერად მოდუნდა და უმალვე მიიღო ჰაფმანისგან ორი ჩატენვა. მერე ბოდიროგამ გარბენი გააკეთა, რაც მაკდონალდისთვის დოპინგი გამოდგა და „მაკაბიმ“ ერთი მონაკვეთი 8:0 მოიგო. 58:54-ზე („პანათინაიკოსის“ სასარგებლოდ) მოედნიდან პირველი მოთამაშე გავარდა — მაკაბელი შარფი.

ამან სულაც არ გატეხა თელავიველები. ბრისკერმა მყისვე მარცხენა ფლანგიდან სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ ათიოდ წამში მოპირდაპირე ფარშიც ჩავარდა ამნაირივე ნასროლი. მისი ავტორი ოდედ კატაში გახლდათ. ეს მომენტი გადამწყვეტი თუ არა, მეტად მნიშვნელოვანი იყო: „მაკაბის“ ბზარი შეეპარა.

მაკაბელმა კომეგისმა ჯერ საშუალო მანძილიდან ააცილა, მერე კი ერთი საჯარიმოც გააცუდა. ამ ორ ამბავს შორის ბოდიროგამ ფარქვეშ იჯაჯგურა და ძნელი ბურთი ჩააგდო. აი, სად დადგა ბოდიროგას ჟამი. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა.

დარჩენილ დროში ბოდიროგამ თამაშის გაძღოლა იკისრა და რაც მანამდე არ უკეთებია, იმის კეთება დაიწყო. იგი ფარზე გააქტიურდა, სამი ბურთი მოხსნა (სულ მატჩში — 4), ბურთის გათამაშებაც თავად დაიწყო და დიდოსტატურად ინარჩუნებდა მას 30 წამის მანძილზე. მაკაბელები, თუ მოახერხებდნენ, მასზე ჯარიმდებოდნენ. დეიანმაც ექვსი საჯარიმოდან ოთხი ჩააგდო.

„პანათინაიკოსი“ 10 ქულას იგებდა და დროის გაყვანის მიზნით „მაკაბის“ შეტევაში ხელს ძალიან არ უშლიდა. მაკაბელები ბურთებს აგდებდნენ, 39 წლის ჯამჩიმაც ჩააგდო სამქულიანი, მაგრამ... თელავიველებმა ახლა კატაშზე დაიწყეს დაჯარიმება. ამან ოთხიდან სამი სროლა ჩააგდო. მატჩის წერტილი კი ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ უძვირფასეს მოთამაშედ დასახელებულმა ჟელკო რებრაჩამ დაუსვა. სირენამდე სამი წამით ადრე მან ორი საჯარიმო ჩააგდო.

მერე კი დარბაზში შუშხუნები აინთო და „პანათინაიკოსის“ კაპიტანმა ფრაგისკოს ალვერტისმა ჩემპიონთა თასი ჩაიბარა.

# ნახევარფინალში დარჩენილებს დაცვა არ სჭირდებათ

ევროლიგის „ოთხთა ფინალი“. მესამე ადგილისთვის

## ეფესი 75:69 ბარსელონა

20 აპრილი. სალონიკი. I ტაიმი 41:34

მსაჯები: სტეფანო კაძარო (იტალია), კარლ იუნგენბრანდი (ფინეთი)

**ეფესი:** ბეშოქი (22), დრობნიაკი (16), ფირინჯიოღლუ, ქუთლუაი (14), მულაომეროვიჩი (5), ონანი (3), თურქოღლუ (15)

**ბარსელონა:** ალსტონი (9), დე ლა ფუენტე (6), დიგბო (2), ელსონი (4), გასოლი (2), გოლდვაიერი (4), გუროვიჩი (13), რენციასი (29), როდრიგესი

მატჩის დაწყებამდე „მაკაბის“ 2500 ფანი „ეფესის“ 2 ათას გულშემატკივარს მიუტრიალდა და, თქვენსკენ ვართო, სიმღერ-ღრიალით ამცნო. საპასუხოდ თურქებმა „მაკაბი“, „მაკაბის“ ღრიალი ატეხეს. ასე შეიძინეს „ეფესმა“ და „მაკაბიმ“ თავთავიანთი მატჩებისთვის დამატებითი მხარდამჭერები.

პირველი ტაიმი სანახაობრივად იმისთანა გამოდგა, უკეთესს რომ ვერ ინატრებ. მეტოქეებმა საერთოდ დაივიწყეს დაცვა და უკანმოუხედავად შეუტიეს ერთურთს. არც უხეშობდნენ, თითქმის არ ეხებოდნენ ერთმანეთს. ტაიმი ისე დამთავრდა, შვიდი გუნდური ჯარიმა ვერცერთმა მეტოქემ ვერ დააგროვა. თითქმის ყველა ნასროლი ბურთი კალათში ვარდებოდა. მე-10 წუთზე „ეფესს“ სროლათა 86 პროცენტი ჰქონდა ჩაგდებული, „ბარსას“ — 80.

კატალონიელთაგან ყველაზე აქტიურები ეფტიმიოს რენციასი და მილან გუროვიჩი იყვნენ (ტაიმში 10-10 ქულა), სტამბოლელთაგან — ჰუსეინ ბეშოქი (ტაიმში 12 ქულა).

„ბარსელონა“ კომბინაციურად თამაშობდა, „ეფესს“ კი ოღონდ საშუალება მისცემოდა და ეგრევე ესროდა. ტაიმის ბოლო სამი წუთი ბარსელონელებს აშკარად ჩაუვარდათ, „ეფესის“ სროლები კი კვლავ ზუსტი იყო და ტაიმიც მათ სასარგებლოდ დასრულდა.

მეორე ტაიმის საწყისი ათი წუთი „ბარსელონამ“ 17:14 მოიგო. აქედან ეფტიმიოს რენციასმა თავისიანებს 15 ქულა (!) შემატა. ეს წარმოშობით სალონიკელი კალათბურთელი უჩვეულო სიზუსტით ესროდა. დამთავრებამდე 8,27 წუთით ადრე „ბარსამ“ ანგარიში გაათანაბრა (55:55), ხოლო ორი წუთის შემდეგ დერიკ ალსტონის ერთი საჯარიმოს შემდეგ დაწინაურდა კიდეც (58:57).

მერე შეხვედრა დაძაბულად, ქულაქულაზე გაგრძელდა და ასე იყო მანამ, სანამ ბოლო წუთი არ დადგა. იქ კი...

სირენამდე 57 წამით ადრე პრედრაგ დრობნიაკმა ჩატენა და „ეფესი“ 70:67 დააწინაურა. „ბარსელონამ“ საპასუხო შეტევა გააფუჭა და როდრიგესი თურქოღლუზე დაჯარიმდა. მან ორივე საჯარიმო გააცუდა, მაგრამ „ბარსას“ რა? ენტონი გოლდვაიერს დამირ მულაომეროვიჩმა ბურთი მოპარა და ამით ეფესელებს რამდენიმე წამი მოაგებინა. გოლდვაიერმა შეცდომა გამოასწორა, როცა ქუთლუაის ბურთი წაართვა, მაგრამ როდრიგესმა სამქულიანი ააცილა. დამთავრებამდე 22 წამით ადრე დრობნიაკმა ორი საჯარიმო ჩააგდო (72:67). მატჩის ბედიც აქ გადაწყდა, რადგან გოლდვაიერის სამქულიანი რომც ჩავარდნილიყო, „ბარსას“ ძნელად თუ რამე ეშველებოდა. დარჩენილ 10 წამში რენციასმა, ალბათ, გულის მოსაოხებლად, ეფექტურად ჩატენა, დრობნიაკმა ერთი საჯარიმო ჩააგდო, მულაომეროვიჩმა — ორი და მესამე ადგილისთვის მატჩიც ამით მორჩა. ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ პირველად გასული „ეფესი“ მესამეადგილოსანი გახდა.

REUTERS სალონიკიდან



სტამბოლელმა ჰუსეინ ბეშოქმა (№12) ბარსელონელ დერიკ ალსტონს ბურთის ნაცვლად თავზე დააფარა

REUTERS მანჩესტერიდან




## ბიჭის ცრემლები

ბავშვის ერთ ცრემლად არა ღირს რამეო, უთქვამს ძველ გამოჩენილ მწერალს. ვინ მოგწმენდს ცრემლს, თუ არა დაიკო? „ოლდ ტრეფორდის“ ტრიბუნაზე ტირის პატარა ბიჭი, რომელსაც ჰგონია, რომ მისი „მანჩესტერისთვის“ ყველაფერი გაზაფხულის ამ საღამოს დამთავრდა. წამოიზრდება და მიხვდება, ყველაფერი ასე არ მთავრდება — თავგადასავალი იწყება. ეგებ სწორედ ამ საღამოს — ახალი თავგადასავალი.

REUTERS ლოზანიდან



## კოკოშა და უკაკოშუ

REUTERS სანქტ პეტერბურგიდან



*იქით შაბათს სანქტ-პეტერბურგში ჰოკეისტთა მორიგი მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, რუსი „ბოლელშჩიკები“ კი უკვე მზად არიან სტუმართა დასახვედრად. დროშაზე ამ ჩემპიონატის ემბლემა, ცხენ-ირემი კოკოშაა დახატული, რუსი ფანი კი ალბათ „უკაკოშუს“ ღრიალებს.*

## ვეზიასთან მივდივარ!

*ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჰაინ ვერბრუგენი მშობლიური სპორტის სახეობის დიდი ქომაგი და მიმდევარია. ჭკუამხიარული ბელგიელი ამ რამდენიმე დღის წინ, 1926 წელს გამოშვებულ ორადგილიან ველოზე თავის მეორე ნახევართან ერთად შემოსკუპდა და შვეიცარიაში, ლოზანის ქუჩებში გაისეირნა.*

REUTERS ჰიუსტონიდან




## სეზონი მხართექოზე

*როგორც იქნა გამოჩნდა ჩარლზ ბარკლი. გამოსათხოვარი სეზონიც ასეთი უნდა. სერ ჩარლზმა სექტემბერში გამოაცხადა წელსაც ვითამაშებ და მორჩაო, მაგრამ რვა ნოემბერს ისეთი ტრავმა მიიღო, რომ ახლაღა გამოჩნდა მოედნის შორიახლოს. მისი „ჰიუსტონი“ „ვანკუვერს“ ეთამაშება, ბარკლი კი სამსაჯო მაგიდაზე წამოგორებულა და ასე ელის მოედანზე შესვლას.*

REUTERS კალკუტიდან



## აი, კაცი!

*ავსტრალიელ მოკრიკეტეთა კაპიტანი სტივ ვო დიდი გულთბილი კაცია და ამიტომაც კალკუტაში ყოფნისას ამ ქალაქის შორიახლოსმდებარე კეთროვან ბავშვთა სანატორიუმში მისულა. ამ სანატორიუმზე ბატონ ვოს ამაგი აქვს, გოგონათა განყოფილების შენობა მისი ფულითაა აშენებული. ვომ აუქციონზე გაიტანს თავის ტაფელას და ქუდს და მიღებულ თანხასაც ამ ლეპროზორიუმს გადასცემს.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბულეძიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli